ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკა ფხოველიშვილი

ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთის ფედერაციას შორის ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს: ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის მარცხი

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო
პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თორნიკე თურმანიძე
პროფესორი

თბილისი
2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის მიზანია შეისწავლოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობების თავისებურებები ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს და ახსნას ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის მარცხის მიზეზები. 2009 წელს, ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ გამოაცხადა ახალი საგარეო პოლიტიკის ფორმირება, რომელშიც ერთ-ერთი უმთავრესი როლი ეკავა რუსეთის ფედერაციასთან არსებული რთული ვითარების განმუხტვას და ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას. მიუხედავად ამისა, როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, ,,გადატვირთვის'' პოლიტიკამ ვერ იმუშავა ეფექტიანად და აშშ-რუსეთს შორის ურთიერთობები არათუ გაუმჯობესდა, არამედ, ფაქტობრივად, ცივი ომის ნიშნულს დაუბრუნდა.

საკვლევი კითხვა შემდეგნაირად არის ფორმულირებული: რატომ აღმოჩნდა წარუმატებელი ამერიკის შეერთებულ შტატებისათვის რუსეთთან ,,გადატვირთვის'' პოლიტიკა?

კვლევა ავითარებს ჰიპოთეზას, რომ ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის პირობებში, ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მხრიდან გადაჭარბებულმა დათმობებმა რუსეთთან, კერძოდ, სირიის კრიზისისა და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დროს, არათუ კონსტრუქციული გახადა რუსეთის ქმედებები, არამედ წაახალისა მისი კიდევ უფრო აგრესიული ქცევები, რამაც გამოიწვია ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის წარუმატებლობა.

ნაშრომში გაანალიზებული და ახსნილია ის მიზეზები, თუ რა კუთხით იქონია ამერიკის შეერთებული შტატების დათმობითმა პოლიტიკამ გავლენა ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის წარუმატებლობაზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კვლევა მიმოიხილავს ორ ქეისს: სირიის კრიზისსა და რუსეთ-უკრაინის ომს, როგორც რუსეთის მიმართ აშშ-ის დათმობითი პოლიტიკის მაგალითებს.

სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის თეორიული ჩარჩოა ნატალი ტოჩის ნორმატიული საგარეო პოლიტიკის თეორია, რომელიც განსაზღვრას საერთაშორისო სისტემის აქტორების მიერ საგარეო პოლიტიკის ფორმირების და მიღწეული შედეგების თავისებურებებს.

E. Pkhovelishvili

U.S. – Russia Relations during the Barack Obama Administration – The Failure of the ''Reset'' Policy

Annotation

The purpose of the Master's thesis is to study the features of the relations between the United States and the Russian Federation during the presidency of Barack Obama and explain the reasons which caused the ''Reset'' policy failure. In 2009, the Barack Obama administration announced the formation of a new foreign policy, in which one of the key roles was defusing the difficult situation with the Russian Federation and deepening bilateral cooperation. Nevertheless, as subsequent events have shown, the ''reset'' cannot work effectively and the relations between US and Russia has not only failed to improve, but went back to the Cold War level.

The research question is worded as followed: Why did the ''Reset'' policy with Russia turn out to be unsuccessful for the United States?

Accordingly, the hypothesis has been formulated in the following way: excessive concessions made to Russia by the Obama Administration under the ''Reset'' policy, namely during the crisis in Syria and Russian-Ukrainian conflict, not only failed to make Russia's actions more constructive, but also facilitated its more aggressive conduct, which caused the ''Reset'' policy to be unsuccessful.

The paper analyzes and explains the reasons to what extent did the U.S concessions policy impact on the failure of the "Reset'' policy. In order to reach this goal, the research reviews two cases: Syrian Crisis and Russia-Ukraine conflict as examples of the United States' concession policy with Russia.

The paper employs the qualitative research methodology. The Normative Foreign Policy Theory by Natalie Tocci serves as a theoretical framework for the research. The theory defines the features of the formation of the foreign policy and achieved results by the international actor

სარჩევი

1. **შესავალი** 6

1.1 ცვლადების ოპერაციონალიზაცია და ტერმინების განმარტება 11

1.2 კვლევის მეთოდოლოგია 14

1.3 თეორიული ჩარჩო 15

1.4 სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა 18

1.5 ნაშრომის სტრუქტურა 21

2. **საგარეო პოლიტიკის შემმუშავებელი ინსტიტუტები აშშ-ში** 24

2.1 პრეზიდენტი, კონგრესი და ,,პენსილვანია ავენიუს დიპლომატია'' 24

2.2 აშშ-ის 2008 წლის არჩევნები და ,,გადატვირთვის პოლიტიკის'' დასაწყისი 26

3. **,,ობამას დოქტრინა'' და ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის თავდაპირველი ეტაპი** 32

3.1. ,,ობამას დოქტრინა'' 32

3.2 ბარაკ ობამას ადმინისტრაციის ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან 34

3.3 პოლიტიკის ანალიტიკოსების და კონგრესის წევრების განსხვავებული შეხედულებები ,,გადატვირთვის'' პოლიტიკაზე 39

4. **სირიის კრიზისი** 43

4.1 სირიის კრიზისის დასაწყისი და შემდგომი განვითარება 43

4.2 რუსეთის ფაქტორის სირიის კრიზისში 47

4.3 აშშ-ის პასუხი რუსეთს - ობამას ადმინისტრაციის ჩაურევლობის პოლიტიკა 49

5. **რუსეთ-უკრაინის ომი** 54

5.1 რუსეთ-უკრაინის ომის დასაწყისი და შემდგომი განვითარება 54

5.2 რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გაძლიერება უკრაინაში 55

5.3 აშშ-ის პასუხი რუსეთის ქმედებებზე - ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის დასასრულის დასაწყისი 56

6. **,,გადატვირთვის'' პოლიტიკის მარცხის თეორიულ ჭრილში განხილვა** 64

7. დასკვნა..... 67

გამოყენებული ლიტერატურა..... 70

1. შესავალი

სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობების თავისებურებებს ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს და შეისწავლის ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა ,,გადატვირთვის" პოლიტიკის წარუმატებლობა. ნებისმიერი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შესწავლა რთული და კომპლექსური საკითხია, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე ეხება ისეთ დიდ სახელმწიფოებს, როგორებიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთის ფედერაცია. დასახული მიზნის მისაღწევად, ნაშრომში წარმოდგენილი იქნება ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ურთიერთობების ფაზები მოცემულ საკვლევ პერიოდში და, ასევე, კონკრეტული ეპიზოდები, რომლებმაც ხელი შეუშალა ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის წარმატებას, კერძოდ: სირიის კრიზისი და რუსეთ-უკრაინის ომი.

ცივი ომის დასრულების შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობის დინამიკის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი არის ის, რომ ყოველი მცდელობა ორ ქვეყანას შორის კავშირების გასამყარებლად სრულდებოდა ურთიერთობათა გაუარესებული რაუნდებით. 1990-იან წლებში, კლინტონისა და ელცინის ადმინისტრაციების დროს, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ რუსეთი სწრაფად შეიძლება ინტეგრირებულიყო დასავლეთთან, რაც, საბოლოოდ, დასრულდა ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ურთიერთობების რეგრესით. მსგავსი ციკლი განმეორდა 2000-იან წლებში პუტინისა და ბუშის ადმინისტრაციების დროს, როდესაც ახალი მცდელობა, დაემყარებინათ თანამშრომლობითი ურთიერთობა 2003 წელს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ბაზისზე, ჩიხში შევიდა და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის დროს კრიზისში აღმოჩნდა. 2009 წელს, ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს, ,,გადატვირთვის'' პოლიტიკა იყო ის მოდული, რომელსაც ემყარებოდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების სამომავლო ნორმალიზების სცენარი და რასაც თან ახლდა თავდაპირველი პროგრესი, მაგალითად, ,,სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება" თუმცა, მოგვიანებით ნათელი გახდა, რომ აღნიშნულმა პოლიტიკამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია და რუსეთი არ ამბობდა უარს ძალისმიერ

და აგრესიულ ქმედებებზე საერთაშორისო არენაზე. ამერიკის მხრიდან დათმობითმა პოზიციებმა სასურველი შედეგი არ მოიტანა და რუსეთის ქმედებები პოზიტიური ცვლილებებისკენ არ დაიძრა (Thiessen, 2014). წინამდებარე კვლევა სწორედ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებს ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს და ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის წარუმატებლობის მიზეზებს შეისწავლის.

2009 წელს, ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე თვეებში, ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ გამოაცხადა ახალი საგარეო პოლიტიკის ფორმირება, რომელშიც ერთ-ერთი უმთავრესი როლი ეკავა რუსეთის ფედერაციასთან არსებული რთული ვითარების განმუხტვას, ურთიერთობების ნორმალიზებას და თანამშრომლობის გაღრმავებას მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე. აღნიშნულ მიდგომას ეწოდა ე.წ. ,,გადატვირთვის'' პოლიტიკა. იგი აუცილებელი გახდა მას შემდეგ, რაც არსებობდა სერიოზული წინააღმდეგობები სარაკეტო თავდაცვის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო-ს) სამომავლო გაფართოების და პოსტ-საბჭოთა სივრცის მიმართ. ამერიკის მმართველ წრეებში შეიქმნა ილუზია, რომ რუსეთი საერთაშორისო ასპარეზის სამართლიანი მოთამაშე შეიძლება გამხდარიყო (McCormick, 2011: 238).

შესაბამისად, ბარაკ ობამას ადმინისტრაციის ,,გადატვირთვის'' პოლიტიკა იყო მნიშვნელოვანი და არსებითი ნაბიჯი ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესების მხრივ, რათა მიეღწიათ მდგრადი თანამშრომლობისათვის და გადაელახათ ეჭვისა და უნდობლობის მემკვიდრეობა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყნის ეროვნული ინტერესები და საგარეო პოლიტიკის ხედვები განსხვავებულია, ამერიკის მმართველ წრეებში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ არსებობდა საკითხები, მაგალითად, ბირთვული იარაღის გავრცელების შემცირება, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა, მსოფლიო ეკონომიკური სისტემის გაძლიერება და ა.შ. რასთან დაკავშირებითაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავება პოზიტიურ ძვრებს დაუდებდა სათავეს. ,,გადატვირთვის'' მიზნების მისაღწევად, ობამას ადმინისტრაციას განზრახული ჰქონდა ურთიერთობების გაღრმავება მთავრობის წარმომადგენლებს შორის, სავაჭრო და საინვესტიციო პოლიტიკის გაძლიერება და საზოგადოების მეტი ჩართულობა (McFaul, 2012).

მიუხედავად ამისა, როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, ,,გადატვირთვის'' პოლიტიკამ ვერ იმუშავა ეფექტიანად და აშშ-რუსეთს შორის ურთიერთობები არათუ გაუმჯობესდა, არამედ, ფაქტობრივად, ცივი ომის ნიშნულზე დაბრუნდა. ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის განმავლობაში, გარკვეულ პროგრესთან ერთად ნათელი გახდა ისეთი საკითხები, რომლებიც ქმნიდნენ დაძაბულობას აშშ-რუსეთის ურთიერთობებში. ასეთია, მაგალითად, სირიის კრიზისი, სადაც ვაშინგტონსა და მოსკოვს განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ. სირიის მოქმედი რეჟიმის მიერ ე.წ. ,,წითელი ხაზის'' გადაკვეთა იყო ყოვლად დაუშვებელი და ბაშარ ალ ასადს პასუხი უნდა ეგო მოსახლეობის წინაშე ჩადენილ ბოროტებაზე. ნათელი გახდა, ასევე, რომ გარე აქტიორებიდან რუსეთი ყველაზე აქტიურად იყო ჩართული სირიაში მიმდინარე პროცესებში - სამხედრო მზაობით, პოლიტიკურად და ფინანსურად. შესაბამისად, რუსეთი ასადს მხარს თავისი სამხედრო ინტერესებიდან გამომდინარე უჭერს. სირიაში რუსეთის საზღვაო და საავიაციო ბაზებია (Allison, 2013: 1). ამის პარალელურად, ბარაკ ობამას ადმინისტრაცია ირჩევს ჩაურევლობის პოლიტიკას სირიის კრიზისში და რუსეთთან დათმობითი დამოკიდებულება გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად აჩენს განცდას, რომ რუსეთი არა თუ პროგნოზირებადი მოთამაშე ხდება საერთაშორისო სისტემის, არამედ პირიქით, კიდევ უფრო წახალისდა მისი აგრესიული ქმედებები (Lund, 2017).

ვიდრე ობამას ადმინისტრაცია რბილ ძალას ანიჭებდა უპირატესობას, მოსკოვი კვლავ იარაღის ენით საუბრობდა. ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის 5 წლის მანძილზე ყალიბდებოდა და მიაღწია თავის კულმინაციას რუსეთის უკრაინაში შეჭრისა და ყირიმის ანექსიის შემდეგ, რამაც ,,გადატვირთვის'' პოლიტიკას წერტილი დაუსვა. რუსეთის წახალისების ერთ-ერთი მოტივი იყო დაუსჯელობის სინდრომი. 2014 წლის 18 მარტს რუსეთის ფედერაციამ მოახდინა ყირიმის ანექსია ყირიმში ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოება არ აღიარებს. მომდევნო თვეებში ვითარება უკრაინის სხვა რეგიონებშიც დაიძაბა. მიმდინარეობდა შეიარაღებული ბრძოლა და კონფლიქტის ინსპირატორად ცალსახად რუსეთი სახელდებოდა (Ramicone et al, 2014: 6).

,,გადატვირთვის'' პოლიტიკის მარცხი გარდაუვალი გახდა. სირიაში და უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა, როდესაც რუსეთის ფედერაციამ ოფიციალურად მოახდინა ყირიმის ანექსია, ,,გადატვირთვას'' პოლიტიკას განაჩენი გამოუტანა (Nexon, 2014).

საკვლევი საკითხის აქტუალურობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ცივ ომში გამარჯვებამ ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს ლიდერ სახელმწიფოდ აქცია, თუმცა რეალობა მალევე შეიცვალა, როდესაც გლობალიზაციამ მსოფლიო კიდევ უფრო კომპლექსური გახადა და ეს რეალობა ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების ფუნდამენტურ ცვლილებებს მოითხოვდა. გაძლიერდა ერთ დროს საბჭოთა კავშირის დანგრევის შედეგად შოკში მყოფი რუსეთი და საჭირო იყო ამერიკის მხრიდან ახალი ტიპის ურთიერთობების ფორმირება, რომელიც ორ ქვეყანას შორის კავშირების სტაბილიზებას ემსახურებოდა.

საკითხს განსაკუთრებულ ინტერესს სძენს, ის გარემოება, რომ ბარაკ ობამას პოლიტიკური მრწამსი მკვეთრად განსხვავდებოდა მისი წინამორბედი პრეზიდენტების მიერ გატარებული ხისტი საგარეო პოლიტიკისგან. ყოველივე ამის პარალელურად, ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკური აზროვნება საკმაოდ ლიბერალურია და მშვიდობიანი ჰეგემონობისაკენ სწრაფვით გამოირჩევა.

ამასთან, საინტერესოა, იმ კონკრეტული შემთხვევების სიღრმისეული შესწავლა, თუ რატომ ვერ შეასრულა ,,გადატვირთვის'' პოლიტიკამ მასში ჩადებული პირველადი მიზნები. ბარაკ ობამას გაპრეზიდენტებისთანავე დაიწყო ხაზის გასმა იმაზე, რომ ძალისმიერი პოლიტიკა არის უკანასკნელი საშუალება მსოფლიო პოლიტიკაში მიზნების მისაღწევად. ამ მიდგომის ერთ-ერთ დასტურად იგი ხშირად ასახელებდა რუსეთთან ურთიერთობების ,,გადატვირთვას'', რომელიც მისი გაპრეზიდენტების მომენტიდან მალევე დაიწყო. რადგან ,,სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება'' რუსეთთან იქცა უმთავრეს საგარეოპოლიტიკურ მიღწევად ბარაკ ობამას პირველი ვადით პრეზიდენტობისას, გაჩნდა შეხედულება, რომ შესაძლებელი იქნებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის დაწყებული ურთიერთობების ახალი ეტაპი. მიუხედავად ამისა, როგორც შემდგომ გახდა ნათელი, ,,გადატვირთვის'' პოლიტიკამ ვერ იმუშავა წარმატებულად. შესაბამისად, ნაშრომს

განსაკუთრებულ ინტერესს სძენს იმ კონკრეტული ეპიზოდების შესწავლა, რამაც გავლენა მოახდინა ,,გადატვირთვის' პოლიტიკის წარუმატებლობაზე.

გარდა ამისა, საკითხი ეხება საერთაშორისო სისტემის ორ დიდ და ძლიერ აქტორს, რომლებიც ისტორიულად ყოველთვის იყვნენ და კვლავ არიან მსხვილი მოთამაშეები საერთაშორისო დიპლომატიურ და ეკონომიკურ არენაზე. შესაბამისად, მათი მხრიდან გრძელვადიანი პრიორიტეტების დასახვა, გარკვეულწილად, ცვლის საერთაშორისო პოლიტიკის პერსპექტივებს, მითუმეტეს, რომ ,,ცივი ომის'' დასრულების შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის ურთიერთობის დათბობა საერთაშორისო სისტემის დღის წესრიგში ასე მკაფიოდ, როგორც ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს, არ დამდგარა.

სამაგისტრო ნაშრომში სირიის კრიზისისა და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემთხვევების განხილვას აქვს თავისი კონკრეტული მიზნები. პირველი, ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის მიმდინარეობისას, მიუხედავად არსებული მცირე უთანხმოებებისა, სირიის კრიზისი იყო პირველი შემთხვევა, როდესაც აშშ-ს და რუსეთს ჰქონდათ მკვეთრად განსხვავებული მიდგომები და ნათელი იყო, რომ რუსეთი ღია აგრესიას მიმართავდა სირიაში, ხოლო ბარაკ ობამას ადმინისტრაციის ჩაურევლობის პოლიტიკით მას კიდევ უფრო გაეხსნა ხელ-ფეხი და ასადის ძალადობრივ რეჟიმს აქტიური დახმარება გაუწია. სირიის კრიზისის დროს დაუსჯელობის სინდრომმა წაახალისა რუსეთი მეტად აგრესიული ქმედებებისკენ მიხვდა რა, რომ აშშ-ის მიერ დასახული ,,წითელი ხაზი'' შეიძლება გადაეკვეთა ისე, რომ მას ამაზე პასუხი არ ეგო. რუსეთის შემდეგი სამიზნე უკრაინა გახდა, სადაც მისი აგრესიული ქმედებები იმდენად შორს წავიდა, რომ მოახდინა ყირიმის ანექსია და დაძაბულობის ინსპირაცია აღმოსავლეთ უკრაინაში. შედეგად, სირიის კრიზისი და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი არის კარგი მაგალითები იმის, რომ შევისწავლოთ ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის წარუმატებლობის კონკრეტული მიზეზები.

კვლევის პროცესში, ჩემი, როგორც ნაშრომის ავტორის მთავარი მიზანია, შევისწავლო აშშ-რუსეთის ურთიერთობების თავისებურებები და გამოვკვეთო რა გარემოებებმა შეუშალა ხელი ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის წარმატებით დასრულებას. აღნიშნული

მიზნის მისაღწევად, ფოკუსირებას სირიის კრიზისისა და რუსეთ-უკრაინის ომის დროს რუსეთის ჩართულობას და ამერიკის საპასუხო რეაქციებზე გავამახვილებ.
აღნიშნულ სამაგისტრო კვლევას, ისევე როგორც ნებისმიერ აკადემიურ ნაშრომს, აქვს თავისი პრაქტიკული დანიშნულება და ამოცანა. ჩემი მიზანია, ნაშრომმა გარკვეული წვლილი შეიტანოს საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის გამდიდრებაში. მითუმეტეს, რომ საკითხის გარშემო არსებული ქართულენოვანი წყაროები არც ისე მრავალრიცხოვანია.

სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი კითხვაა: რატომ აღმოჩნდა წარუმატებელი ამერიკის შეერთებულ შტატებისათვის რუსეთთან ,,გადატვირთვის'' პოლიტიკა?

შესაბამისად, ჰიპოთეზა შემდეგნაირად არის ფორმულირებული: ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის პირობებში, ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მხრიდან გადაჭარბებულმა დათმობებმა რუსეთთან, კერძოდ, სირიის კრიზისისა და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დროს, არათუ კონსტრუქციული გახადა რუსეთის ქმედებები, არამედ წაახალისა მისი კიდევ უფრო აგრესიული ქცევები, რამაც გამოიწვია ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის წარუმატებლობა.

კვლევისათვის უმნიშვნელოვანესია დამოუკიდებელი ცვლადი, სწორედ ის ხსნის საკვლევ საკითხს, წარმოადგენს რა მის განმაპირობებელ ფაქტორს. შესაბამისად, დამოუკიდებელი ცვლადია ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან დათმობითი პოლიტიკა რუსეთის მიმართ, რომელიც იწვევს დამოკიდებულ ცვლადს - ამერიკის შეერთებულ შტატებისათვის ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის წარუმატებლობას.

1.1 ცვლადების ოპერაციონალიზაცია და ტერმინების განმარტება

ძირითადი ნაწილის განხილვამდე, მოვახდენ ცვლადების ოპერაციონალიზაციას და განვმარტავ ნაშრომში გამოყენებულ ტერმინებს.

,,გადატვირთვის'' პოლიტიკა - ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს რუსეთის ფედერაციის მიმართ გატარებული საგარო პოლიტიკის ზოგადი სახელწოდება, რომელიც ეფუძნებოდა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისა და მრავალ აქტუალურ საკითხზე თანამშრომლობის გაღრმავებას. აღნიშნული პოლიტიკა ოფიციალურად 2009 წლის თებერვალში გამოაცხადა ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ და მიზნად ისახავდა რუსეთთან ურთიერთობების ინტენსიფიკაციას და კავშირების გაღრმავებას (McCormick, 2011: 238).

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში, ტერმინი ,,გადატვირთვის'' პოლიტიკა გამოიყენება, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მიერ რუსეთის ფედერაციის მიმართ გატარებული პოლიტიკა. ხოლო **,,გადატვირთვის'' პოლიტიკის წარუმატებლობაში** იგულისხმება ობამას ადმინისტრაციის შეხედულების მარცხი, კერძოდ, რუსეთი საერთაშორისო არენაზე არ გახდა პროგნოზირებადი და კვლავ აგრესიული საგარეო პოლიტიკის მატარებლად დარჩა, შესაბამისად, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ვერ გაუმჯობესდა.

დათმობითი პოლიტიკა - სხვის სასარგებლოდ რამეზე ხელის აღება, დანებება (Hagan et al, 2001). აღნიშნულზე ნაშრომში ტერმინი ,,დათმობითი'' პოლიტიკა გამოიყენება აშშ-ის მიერ რუსეთის მიმართ გატარებული პოლიტიკის აღსანიშნავად, კერძოდ, ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მხრიდან რუსეთის არადემოკრატიულ ქმედებებზე თვალის დახუჭვა და აგრესიაზე არასათანადო პასუხი. კონკრეტულ შემთხვევებში, სირიაში აშშ-მ აირჩია ჩაურევლობის პოლიტიკა სირიის მიერ ,,წითელი ხაზის'' გადაკვეთის შემდეგ, რომელსაც სამხედრო და დიპლომატიური მეთოდებით ღიად ეხმარებოდა რუსეთი, ხოლო უკრაინაში რუსეთის აგრესიას აშშ-მ კვლავ დათმობითად უპასუხა, რაც გამოიხატებოდა მხოლოდ გაფრთხილებით და სანქციების დაწესებით რუსეთის მიმართ, რაც საბოლოოდ დასრულდა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიით და არეულობის ესკალაციით აღმოსავლეთ უკრაინაში.

აგრესიული ქმედება - მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რომელიც ხელყოფს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ხალხთა მშვიდობას და ა.შ. (ჩუბინიძე, 2000). წინამდებარე ნაშრომში, ამ ტერმინით მოიაზრება რუსეთის აგრესიული ქმედებები საერთაშორისო არენაზე, კერძოდ, სირის კრიზისისა და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დროს, რომელიც მიმართულია არაჰუმანური და დესტრუქციული მიზნების მისაღწევად.

საგარეო პოლიტიკა - სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოსთან ქმედებებისა და უკუქმედებების ერთობლიობა. საგარეო პოლიტიკის წარმოება, უმეტეს შემთხვევაში, სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს ემსახურება და რაციონალურ გათვლებს ეყრდნობა (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, 2004).

დიდი სახელმწიფოები - სახელმწიფოები, რომელთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი სხვა სახელმწიფოებზე ბევრად დიდია და მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მსოფლიო პოლიტიკაში, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართალი ყველა სუვერენულ სახელმწიფოს თანასწორუფლებიან ერთეულად მიიჩნევს. (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, 2004).

თანამშრომლობა - ანე ჰერბერტი გვთავაზობს სხვადასხვა ავტორის მოსაზრებების შეჯამებას, შესაბამისად, იგი წარმოგვიდგენს საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარების რობერტ კიოჰეინის, ერნესტ ჰაასისა და თომას ფრანკის ნაშრომების ანალიზს. სამივე ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ თანამშრომლობა არის ორმხრივი ან მრავალმხრივი ურთიერთობა მანამდე, სანამ ეს კავშირი ყველა მხარისათვის მომგებიანია (Herbert, 1996: 222).

1.2 კვლევის მეთოდოლოგია

არსებული საკვლევი საკითხის სიღრმისეული შესწავლა შეუძლებელია სწორად შერჩეული მეთოდოლოგიის გარეშე. სწორედ ამიტომ, ნაშრომს სოციალური მეცნიერებების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმის - თვისებრივი კვლევის მეთოდების მიხედვით განვიხილავ. ამ მოდელის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხსნის არა მხოლოდ მოვლენას, არამედ სიღრმისეულად იკვლევს მის განმაპირობებელ ფაქტორებს (ზურაბიშვილი, 2006: 6-7).

რაც შეეხება წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის დიზაინს, მოცემულ შემთხვევაში, დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ყველაზე ეფექტურ და მოსახერხებელ გზას წარმოადგენს ქეისი შესწავლის დიზაინი (Case Study Design), რომელიც ემყარება კონკრეტული მაგალით(ებ)ის საფუძველზე ნაშრომში მოყვანილი ჰიპოთეზის გამოცდა-დამტკიცებას. კვლევის ეს გზა მოითხოვს საკითხის სიღრმისეულ შესწავლას და საკვლევ კითხვაზე პასუხის მოძიების საუკეთესო საშუალებაა. (ზურაბიშვილი, 2006: 61).

თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი, პროცესის მიდევნება (Process tracing), აკვირდება მოვლენების განვითარებას დროის კონკრეტულ მონაკვეთში. იგი არის ქეისების შესწავლის ერთ-ერთი საჭირო კომპონენტი. ამ მეთოდის გამოყენებით, ნათელი ხდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირები მოვლენებს შორის რაც დაგვეხმარება ,,გადატვირთვის'' პროცესის წარუმატებლების სიღრმისეულ შესწავლაში (Collier, 2011: 823).

კვლევისათვის აუცილებელია ამერიკა-რუსეთის ურთიერთობების სიღრმისეული ანალიზი ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს და ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის მარცხის მიზეზების იდენტიფიცირება, რისთვისაც მასთან დაკავშირებულ ნაშრომებს, კვლევებსა და სტატიებს მიმოვიხილავ. ამასთანავე, კონტენტ ანალიზს (Content Analysis) გამოვიყენებ ოფიციალური განცხადებების და დოკუმენტების შესწავლის დროს.

თემის კვლევისას ვეყრდნობი იმ პერიოდის პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს, სხვადასხვა მკვლევარების ნაშრომებსა და ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს.

არგუმენტაციის გასამყარებლად საჭიროა ზუსტი და სანდო ფაქტები, რაც მრავალი წყაროს ანალიზის შედეგად არის შესაძლებელი.

კვლევის პროცესში გამოვიყენებ როგორც პირველად წყაროებს, მაგალითად, უშუალოდ ოფიციალური დოკუმენტების, პოზიციების, საჯარო გამოსვლების, ასევე მეორადი წყაროების, ანუ პრესრელიზების და ექსპერტთა ანალიზების შესწავლას.

1.3 თეორიული ჩარჩო

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებში სულ უფრო და უფრო იზრდება ნორმატიული მიდგომების როლი. ნორმატიული თეორიის ჭრილში შეიძლება განვიხილოთ ბევრი, მათ შორის, საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებული ეთიკური ასპექტები. იგი შეისწავლის სახელმწიფოების ურთიერთქმედების სტანდარტებს და უფლებებს. ნორმატიული თეორიების სწრაფი განვითარება ტრადიციულ თეორიებთან ახალი პარადიგმული დებატების მომასწავლებლად შეიძლება განვიხილოთ (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, 2004).

შესაბამისად, ნაშრომის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია ნატალი ტოჩის ნორმატიული საგარეო პოლიტიკის თეორია. იგი შეისწავლის გლობალურ დონეზე საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტურ ასპექტებს. თეორია, ძირითადად, ფოკუსირდება იმაზე, თუ როგორ განსაზღვრავენ აქტორები თავიანთ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს და როგორ ურთიერთქმედებენ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი საგარეო პოლიტიკა განსხვავდება. საგარეო პოლიტიკის განმახორციელებელი აქტორი უნდა შეფასდეს არა მხოლოდ თავისი დეკლარირებული მიზნებით, არამედ ამ მიზნების განხორციელების გზებისა და მიღებული შედეგების გათვალისწინებით. ნორმატიული პოლიტიკის გამტარებელმა აქტორმა უნდა განახორციელოს აღნიშნული სამივე მიზანი ერთად, რომელიც განაპირობებს მის ეფექტურობას (Tocci et al, 2008: 4)

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, როგორი ქმედება ახასიათებს ნორმატიულ საგარეო პოლიტიკურ აქტორს, უნდა შევისწავლოთ, რას გულისხმობს ტერმინი ,,ნორმატიული''. იგი აღნიშნავს ქმედებას, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგის საკითხებს არა იძულებითი მეთოდებით აგვარებს. ეს ტერმინი შეიძლება გავიაზროთ, როგორც ისეთი ქცევები საერთაშორისო სისტემაში, რომელიც ითვლება რაციონალურად და არა ძალისმიერად. ამ კონტექსტში, ნორმები უკავშირდება ძალაუფლებას, რადგან მხოლოდ ძლიერ აქტორებს აქვთ იმის განსაზღვრის საშუალება, თუ რა ითვლება ნორმად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველას ექნებოდა ნორმატიული საგარეო პოლიტიკა იმ შემთხვევაში, თუ ისინი თვითონ განსაზღვრავდნენ ამ ტერმინს (Tocci et al, 2008: 4)

ნატალი ტოჩი ნორმატიულ საგარეო პოლიტიკას სამი განზომილების კომბინაციად განიხილავს: რა სურთ აქტორებს (მათი მიზნები), როგორ მოქმედებენ (როგორ აღასრულებენ თავიანთ მიზნებს) და რას აღწევენ საბოლოოდ (გავლენის შეფასება).

ნორმატიული მიზნები:

იმის დასადგენად, თუ რა არის ნორმატიული და არა ნორმატიული საგარეო პოლიტიკური მიზანი, რამდენიმე განსხვავების იდენტიფიცირება შეიძლება. ერთ-ერთი არის განსხვავება ღირებულებებს (ნორმატიული) და ინტერესებს (არა ნორმატიული) შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნორმატიული არის ის საგარეო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს საგარეო პოლიტიკის განხორციელებას საერთაშორისო მმართველობის, ორგანიზაციებისა და კანონის გზით.

ნორმატიული საშუალებები:

ნორმატიული საგარეო პოლიტიკის საშუალებებში იგულისხმება დიპლომატიური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ინსტრუმენტები, ანუ ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგება სამხედრო ძალის გამოყენებას. ავტორს მაგალითად მოჰყავს ჯოზეფ ნაის ,,რბილი ძალა'', რომელიც აქცენტი აკეთებს თანამშრომლობაზე და არა იძულებაზე.

საბოლოო შედეგი - ნორმატიული გავლენა:

ნორმატიული საგარეო პოლიტიკის მესამე და საბოლოო ცვლადი აქცენტს შედეგებზე აკეთებს. ამ დროს, ძირითადად, თეორია ფოკუსირდება არა მხოლოდ საბოლოო

შედეგზე, არამედ იმაზეც, თუ რა განზრახვა ჰქონდა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისას. იმის შეფასება, თუ რამდენად ნორმატიული იყო საგარეო პოლიტიკა მოითხოვს სხვა ცვლადებთან მიმართებაში მის დეტალურ ანალიზს, რაც ამ განზომილებას კომპლექსურობას მატებს (Tocci et al, 2008: 5-12).

ნორმატიული საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი სამი განზომილების ურთიერთქმედება:

ნატალი ტოჩის აზრით, ნორმატიული საგარეო პოლიტიკა უნდა შეფასდეს აღნიშნული სამი ცვლადის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ამ კატეგორიას აქვს თავისი ემპირიული და ზოგჯერ რთულად გასაგები მიზანი, მათი იდენტიფიცირება შესაძლებელია. ამიტომ ავტორი ამტკიცებს, რომ მიზანი და საშუალება თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა იქნას შესწავლილი. ამ სამი ცვლადის საფუძველზე, სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა 4-დან ერთ-ერთს მიეკუთვნება: ნორმატული, რეალისტური, იმპერიალისტური და სტატუს ქვო. ნორმატიული საგარეო პოლიტიკა აქვს იმ სახელმწიფოს, რომელიც აკმაყოფილებს ორივე ცვლადს: ნორმატიულ მიზნებსა და მისი განხორციელების საშუალებებს. ამის საპირისპიროდ, რეალისტურად შეიძლება განვიხილოთ ის საგარეო პოლიტიკა, რომელიც იყენებს ყველანაირ საშუალებას (ძალისმიერი და არა ძალისმიერი) რათა შეასრულოს თავისი მიზნები. იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკის მოდელი დეკლარირებულად ნორმატიულ საგარეო პოლიტიკას მიაკუთვნებს თავს, მაგრამ არ ემორჩილება მას და არღვევს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. სტატუს ქვოს საგარეო პოლიტიკის ტიპი კი პატივს სცემს საშინაო და საგარეო ვალდებულებებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ ცდილობს განავრცოს თავისი საგარეო პოლიტიკა სხვადასხვა რეგიონსა და ტერიტორიაზე (Tocci et al, 2008: 12).

იმისათვის, რომ საგარეო პოლიტიკა ჩაითვალოს ნორმატიულად, ორი შესაძლო შემთხვევა არსებობს. პირველი, საერთაშორისო სისტემის აქტორი უნდა ცდილობდეს არა მარტო ნორმატიული მიზნების მიღწევას ნორმატიული საშუალებებს გამოყენებით, არამედ საბოლოო შედეგიც ნორმატიული უნდა იყოს. ასეთ პოლიტიკას ,,გათვალისწინებული'' შედეგის მქონე ეწოდება. ამის საპირისპიროთ, საეთაშორისო

აქტორმა შეიძლება იმოქმედოს ნორმატიული მიზნებისა და საშუალებების გამოყენებით, მაგრამ ვერ მიაღწიოს ნორმატიულ საბოლოო შედეგს. ამ შემთხვევას, ავტორი განიხილავს, როგორც ,,გაუთვალისწინებელ'' საბოლოო შედეგს. ნორმატიულის მსგავსად, საგარეო პოლიტიკის სხვა მიმართულებებსაც შეიძლება ჰქონდეს ,,გათვალისწინებული'' და ,,გაუთვალისწინებელი'' საბოლოო შედეგი (Tocci et al, 2008: 15).

შედეგად, ნორმატიული საგარეო პოლიტიკის თეორიის ცვლადების ურთიერთკავშირს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ზოგჯერ ნორმატიულ ქმედებებს და ამ ქმედებების განხორციელების ნორმატიულ საშუალებებს ქვეყანა მიჰყავს არანორმატიულ საგარეო პოლიტიკამდე, რასაც ,,გაუთვალისწინებელი'' საბოლოო შედეგი ეწოდება. ამის ერთ-ერთ მიზეზად, ავტორი განიხილავს საერთაშორისო სისტემის ბუნებას, სადაც ხელსაყრელ გარემოს მხოლოდ ერთი აქტორი არ აყალიბებს და სისტემის სხვა წევრებიც ურთიერთქმედებენ. (Tocci et al, 2008: 15).

ამ კონტექსტში, ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰქონდა ნორმატიული მიზანი - გადაეტვირთა და გაეღრმავებინა რუსეთთან თანამშრომლობა, რასაც ნორმატიული, არა ძალისმიერი საშუალებებით ახორციელებდა, თუმცა საბოლოო შედეგი ვერ იქნა მიღწეული. თეორიის მიხედვით, აღნიშნული შემთხვევა განეკუთვნება ,,გაუთვალისწინებელი'' ნორმატიული საგარეო პოლიტიკის მაგალითს და კარგად ხსნის საკვლევ საკითხს.

1.4 სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომში ამერიკა-რუსეთს შორის ,,გადატვირთვის'' პოლიტიკისა და მისი მარცხის მიზეზების იდენტიფიცირებისათვის არსებული მოცულობითი ლიტერატურა იქნება გამოყენებული. მათ შორის არის არაერთი წიგნი, სტატია, აკადემიური ნაშრომი და ოფიციალური დოკუმენტი.

პრეზიდენტ ობამას საგარეო პოლიტიკური აზროვნების დეტალური ანალიზისათვის და, ზოგადად, ამერიკის საგარო პრიორიტეტების თავისებურებების კვლევისათვის მოცემულ პერიოდში, მნიშვნელოვანი არის ბრუს ჯენტლესონის წიგნი ,,ამერიკის საგარეო პოლიტიკა - არჩევანის დინამიკა 21-ე საუკუნეში''. ჯენტლსონი თხრობას იწყებს იმ პროცესების განხილვით, თუ რა გზასაც გადის საგარეო გადაწყვეტილების ფორმირება აშშ-ში, ხოლო შემდეგ კი განიხილავს უშუალოდ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის სტრატეგიებს. წიგნი მნიშვნელოვანია, რამდენადაც მასში ასახულია საერთაშორისო პოლიტიკის ბოლო დროის მნიშვნელოვანი მოვლენები. (ჯენტლესონი, 2015).

ჟურნალისტ ჯეფრი გოლდბერგის სტატია ,,ობამას დოქტრინა'' გამოქვეყნებული ,,The Atlantic-ში'' ფასდაუდებელ ცნობებს გვაწვდის ბარაკ ობამას ადმინისტრაციის შეხედულებებზე რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებისა და ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის შესახებ. სტატიაში თავს იყრის ბარაკ ობამასთან სხვადასხვა დროს ჩაწერილი ინტერვიუები და განცხადებები. სტატია მნიშვნელოვანია, რადგან საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ ამერიკის პოზიცია როგორც სირიის, ასვე რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დროც, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული სამაგისტრო კვლევისთვის (Goldberg, 2016).

კვლევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხთა ბელფერის ცენტრის ექსპერტთა მიერ მომზადებული ანგარიში ,,რუსეთი და აშშ-ის ეროვნული ინტერესები: რატომ უნდა იზრუნონ ამერიკელებმა?''. აღნიშნული ანგარიში დეტალურად განიხილავს იმ კომპონენტებს, თუ რატომ არის რუსეთი აშშ-სთვის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული ქვეყანა და, ამიტომ, მასთან ურთიერთობების გადატვირთვას ობამას ადმინისტრაცია დიდ ყურადღებას ანიჭებდა. აღნიშნული ანგარიში, მომზადებული აშშ-ის მაღალი თანამდებობის პირების, სამხედრო ოფიცრების, ექსპერტებისა და დარგის სხვა სპეციალისტების მიერ განიხილავს რუსეთს აშშ-ის ეროვნული ინტერესების ობიექტივში. ,,გადატვირთვის'' პოლიტიკას უწოდებს როგორც ამერიკისათვის რთულ მისიას, რადგან მას სჭირდებოდა ძალიან დიდი ძალისხმევა რომ

შეეცვალა რუსეთის ქცევები საერთაშორისო არენაზე და გამხდარიყო სისტემის სამართლიანი მოთამაშე (Allison et al, 2011).

კვლევის პროცესში მნიშვნელოვან ცნობებს ვიღებთ სტრატეგიული და საერთაშორისო სწავლების ცენტრის ანალიტიკოსის, ჯეფრი მანკოფის შეხედულებებისგან. იგი საკმაოდ უარყოფითად აფასებს ,,გადატვირთვის'' პოლიტიკას და ბარაკ ობამას დამოკიდებულებას რუსეთის მიმართ, რადგან მიაჩნია, რომ რუსეთის ფედერაცია კვლავ საფრთხედ დარჩება პროგრესული საზოგადოებისათვის. მიუხედავად ბირთვული არსენალის შემცირების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებისა, ამერიკის შეერთებული შტატები მაინც არასახარბიელო მდგომარეობაში. საბოლოოდ კი, მანკოფის რეკომენდაციით, უსაფრთხოების საკითხებზე ორ ქვეყანას შორის შეზღუდულ თანამშრომლობას მეტი ადგილი უნდა დათმობოდა (Mankoff, 2009).

ჯეფრი მანკოფის წიგნი ,,რუსეთის საგარეო პოლიტიკა: დიდი ძალების პოლიტიკის დაბრუნება'' - საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ რუსეთის ქცევა საერთაშორისო არენაზე. გარდა აღნიშული წიგნისა, საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის შესწავლისას, ჯეფრი მანკოფის სტატიები სირიისა და უკრაინის მოვლენებისას ამერიკის დამოკიდებულების შესაფასებლად რუსეთის ქმედებების მიმართ, ძალიან ღირებული აღმოჩნდა (Mankoff, 2011).

მნიშვნელოვანია, მაიკლ მაკფოლის ნაშრომები აშშ-რუსეთის ურთიერთობებზე, რომელიც იყო ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის ერთ-ერთი არქიტექტორი. იგი 2012 წლის იანვრიდან მუშაობდა რუსეთში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩად, მანამდე კი იყო მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტის - სტენფორდის პროფესორი და ეროვნული უშიშროების საკითხებში ბარაკ ობამას მრჩეველთა გუნდის წევრი. მაიკლ მაკფოლი მიჩნეულია რუსეთის ერთ-ერთ საუკეთესო ამერიკელ მცოდნედ. მაკფოლის აზრით, ამერიკა პარტნიორებს გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად ირჩევს და სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ,,გადატვირთვის'' პოლიტიკაც: დემოკრატიის წინსვლა აშშ-ის ეროვნულ ინტერესებშია. ორი ქვეყნის საგარეო პრიორიტეტების განსხვავებულობის მიუხედავად, მთავარ მოტივად ობამას ადმინისტრაცია სამომავლო პერსპექტივებზე აკეთებდა აქცენტს. კვლევისათვის საინტერესოა მაკფოლის სტატიები სირიის კრიზისისა და რუსეთ-უკრაინის ომის დროს, რომელიც საშუალებას გვაძლევს

შევისწავლოთ ის გარდამტეხი მოვლენები, რომლებმაც ჩიხში შეიყვანა ,,გადატვირთვის პოლიტიკა (McFaul, 2015).

ნაშრომზე მუშაობის პროცესში, მნიშვნელოვანი არის, ასევე, დანიელ ნექსონის სტატიები ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის წარუმატებლობის მიზეზების შესახებ, რადგან ნექსონი პენტაგონში ამერიკა-რუსეთის ,,გადატვირთვის'' სამხედრო საკითხებზე სწორედ მაშინ მუშაობდა, როდესაც ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ აღნიშნული პოლიტიკის განხორციელებაზე განაცხადი გააკეთა. იგი მიიჩნევს, რომ სირიის კრიზისი და შემდეგ ყირიმის ანექსია იყო ის გარდამტეხი მოვლენები, რამაც ,,გადატვირთვის'' პოლიტიკას საფუძველი გამოაცალა (Nexon, 2014).

კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნება სტატიები ინგლისურენოვანი გამოცემებიდან: - The Atlantic, The New York Times, The Guardian, Financial Times, The Washington Post, ასევე, სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევებს ცენტრის ვებ-გვერდიდან და ა.შ. წარმოდგენილი ინფორმაცია, ძირითადად, დაგვეხმარება საკვლევი საკითხის სიღრმისეულ ანალიზში და ამერიკა-რუსეთის ურთიერთობების თავისებურებების გაანალიზებაში მოცემულ საკვლევ პერიოდში. ამის გათვალისწინებით, უფრო მარტივი ხდება ამერიკის თვალით დანახული აშშ-რუსეთის ურთიერთობების შესწავლა და იმ კონკრეტული ქეისების, კერძოდ სირიის კრიზისი და რუსეთ-უკრაინის ომის განხილვა, რომლის პირობებშიც ამერიკის დათმობითმა პოლიტიკამ რუსეთთან არ მოიტანა სასურველი შედეგი.

1.5 ნაშრომის სტრუქტურა

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურას, იგი 7 თავისგან შედგება: რომელთაგან პირველი და ბოლო არის შესავალი და დასკვნა, ხოლო 5 თავი - ძირითადი ნაწილი. თითოეული თავი, თავის მხრივ, რამდენიმე ქვეთავს მოიცავს.

ნაშრომის შესავალი ნაწილი მოიცავს ტერმინების განმარტებას და ცვლადების ოპერაციონალიზაციას, მეთოდოლოგიას, თეორიულ ჩარჩოს, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას და ნაშრომის სტრუქტურას.

მეორე თავი ეთმობა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის შემმუშავებელ ინსტიტუტებს. პირველი ქვეთავი მიმოიხილავს კონსტიტუციის, პრეზიდენტისა და კონგრესის როლს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში, რადგან სწორედ ამერიკის კონსტიტუცია ანიჭებს ქვეყნის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს საგარეო პოლიტიკის შემმუშავებელ ფუნქციებს. ,,პენსილვანია ავენიუს'' დიპლომატია კი არეგულირებს შტოებს შორის ურთიერთობებს.

მეორე ქვეთავში განვიხილავ 2008 წლის არჩევნების მნიშვნელობას აშშ-სთვის და ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის დაწყებას. შევეცდები, პასუხი გავცე კითხვებს, თუ რატომ არის რუსეთი უმნიშვნელოვანესი ქვეყანა ამერიკისთვის რა თავდაპირველი მიზნები ამოძრავებდა ბარაკ ობამას ადმინისტრაციას ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის შექმნით.

მესამე თავში განვიხილავ ,,ობამას დოქტრინას'' და ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის თავდაპირველ ეტაპს. იგი რამდენიმე ქვეთავისაგან შედგება. პირველ ქვეთავში მიმოვიხილავ ,,ობამას დოქტრინას'' და ადმინისტრაციის წინასწარ, კარგად გათვლილ ხედვებს ქვეყნის სამომავლო პოლიტიკაზე. შევისწავლი, რამდენად შეესაბამება დეკლარირებული საგარეო პოლიტიკა გატარებულ ქმედებებს.

მეორე ქვეთავში მიმოვიხილავ აშშ-რუსეთის ურთიერთობის ფაზებს ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს და ამ კონტექსტში შევეცდები, გამოვკვეთო მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის წარუმატებლობის საწყისებთან, რამაც სათავე დაუდო 5 წლის შემდეგ მის ჩიხში შესვლას.

მესამე ქვეთავში განვიხილავ პოლიტიკის ანალიტიკოსების და კონგრესის წევრებისა არაერთგვაროვან აღქმას აშშ-რუსეთის ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის მიმართ. ამ კონტექსტში, მიმოვიხილავ რუსეთის ფედერაციასთან ახალი ურთიერთობების ფორმირების ხარვეზებზე არსებულ შეხედულებებს და ანალიტიკოსების განსხვავებულ მოსაზრებებს, რომლებიც აკრიტიკებდნენ მას.

მეოთხე თავი უშუალოდ ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის წარუმატებლობის მიზეზებს იკვლევს. დეტალურად განიხილავს სირიის კრიზისს, სადაც ამერიკის დათმობითმა

პოლიტიკამ რუსეთის მიმართ ,,გადატვირთვის'' პოლიტიკაზე იქონია გავლენა. მესამე თავი რამდენიმე ქვეთავისგან შედგება: სირიის კრიზისის დასაწყისი და შემდგომი განვითარება, რუსეთის ფაქტორი სირიის კრიზისში და აშშ-ის პასუხი რუსეთს - ობამას ადმინისტრაციის ჩაურევლობის პოლიტიკა.

მეხუთე თავში მიმოვიხილავ რუსეთ-უკრაინის ომს და ყირიმის ანექსიას, როგორც ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის და აშშ-ის დათმობითი პოლიტიკის წარუმატებლობის კულმინაციას. იგი შემდეგი ქვეთავებისგან შედგება: რუსეთ-უკრაინის ომის დასაწყისი და შემდგომი განვითარება, რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გაძლიერება უკრაინაში, აშშ-ის პასუხი რუსეთის ქმედებებზე - ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის დასასრულის დასაწყისი.

ნაშრომის მეექვსე ნაწილი განიხილავს ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის მარცხს თეორიულ ჭრილში.

დასკვნითი თავი შეაჯამებს ბარაკ ობამას პოლიტიკას რუსეთის ფედერაციის მიმართ და ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის საბოლოო შედეგებს შეადარებს მის საწყის იდეებს, რათა მოხდეს მისი სწორი შეფასება და გამოკვეთოს იმ ცვლადების ურთიერთკავშირი, რომლებმაც გამოიწვია აღნიშნული პოლიტიკის მარცხი.

2. საგარეო პოლიტიკის შემმუშავებელი ინსტიტუტები აშშ-ში

2.1 პრეზიდენტი, კონგრესი და ,,პენსილვანია ავენიუს დიპლომატია''

ამერიკის საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში პრეზიდენტს, ისევე როგორც კონგრესს, განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია. ამერიკის კონსტიტუცია ქვეყნის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს ანიჭებს საგარეო პოლიტიკის შემმუშავებელ ფუნქციებს. გარკვეული უფლებამოსილებები, მაგალითად, სამხედრო ძალების მეთაურობა ექსკლუზიურად პრეზიდენტის პრეროგატივაა, ხოლო საგარეო ვაჭრობის რეგულირება - კონგრესის. საკითხთა უმრავლესობაზე უფლებამოსილების გამიჯვნა კი აჩენს ინტერესს პრეზიდენტისა და კონგრესის როლზე საგარეო პოლიტიკის შემუშავების პროცესში (Council for Foreign Relations, 2017).

პრეზიდენტისა და კონგრესის ურთიერთობის სიღრმისეულ ანალიზს გვთავაზობს ბრუს ჯენტლესონი წიგნში ,,ამერიკის საგარეო პოლიტიკა - არჩევანის დინამიკა 21-ე საუკუნეში''. ავტორის თქმით, თეთრი სახლი და კაპიტოლიუმი, სადაც განთავსებულია ამერიკის კონგრესი, ერთმანეთის პირისპირ დგას, პენსილვანია ავენიუს ორ ბოლოში. ეს ავენიუ მათ აერთიანებს, მაგრამ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, ყოფს კიდეც.

ისტორიულად, პრეზიდენტ კონგრესის ურთიერთობა საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში ოთხი მოდელით ხასიათდებოდა:

- თანამშრომლობა, როდესაც ერთიანი, კოორდინირებული საგარეო პოლიტიკა ტარდებოდა და კონგრესი ეთანხმებოდა პრეზიდენტს;
- კონსტრუქციული კომპრომისი, როცა ორი შტო დაძლევდა კონფლიქტს და შეიმუშავებდა პოლიტიკას, რომელიც ორივეს თავდაპირველ პოზიციაზე უკეთესი აღმოჩნდებოდა;
- ინსტიტუციური კონკურენცია, როდესაც კონფლიქტი ძირითადად მიმართული იყო არა პოლიტიკის არსზე, არამედ ეხებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციასა და კონგრესის ფუნქციებს შორის ბალანს;

- კონფრონტაცია, როდესაც ,,პენსილვანია ავენიუს'' დაძაბულობის პერიოდი დგება, რადგან მხარეთა პოზიციები არათავსებადი იყო ერთმანეთთან (ჯენტლესონი, 2015: 34-35).

პრეზიდენტი და კონგრესი საგარეო პოლიტიკის საკითხებში ხშირად ეყრდნობიან კონსტიტუციით მათთვის მინიჭებულ უფლებებს. კონსტიტუციაში წერია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება გადაეცემა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს. საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი როლის მქონე აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა აქტორისათვის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილების მიმღებ პირად პრეზიდენტი რჩება (ჯენტლესონი, 2015: 54). რობერტ ჯერვისი წერს, რომ საკვანძო გადაწყვეტილებების ახსნა მათი მიმღები პირების სამყაროს შესახებ რწმენებისა და მათი წარმოდგენების მხედველობაში მიღების გარეშე შეუძლებელია (Jervis, 1976: 220).

ვეტო არის ყველაზე ძლიერი ძალაუფლება, რომელსაც კონსტიტუცია პრეზიდენტს ანიჭებს. ეს არის უფლება, შეაჩეროს კანონის მოქმედებაში შესვლა. განსაკუთრებით ეს ეხება საგარეო პოლიტიკას, სადაც პრეზიდენტს პატრიოტიზმისა და შიშის ფაქტორების გამოყენებით, შეუძლია დააფრთხოს ვეტოს დაძლევის პოტენციური მომხრეები (Council for Foreign Relations, 2017).

რაც შეეხება კონგრესს, საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები კონგრესში 5 ძირითად ეტაპს გადის: კანონის დაწერა, მოსმენა და შენიშვნები, წარმომადგენელთა პალატის და სენატის განხილვები, წარმომადგენელთა პალატასა და სენატს შორის უთანხმოების დაძლევა და საბიუჯეტო ხარჯები საგარეო დახმარებისა და სხვა საკითხებისათვის.

კონგრესს, ასევე, კონსტიტუციით მინიჭებული აქვს ფართო უფლებამოსილება, განახორციელოს ზედამხედველობა და გამოძიება საგარეო პოლიტიკის ან ეროვნული უსაფრთხოების კუთხით. ბოლო პერიოდში ეს ეხებოდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულ აქტებს, 2012 წლის თავდასხმებს ლიბიაში, ბენღაზში ამერიკის დიპლომატიურ ობიექტებზე (Council for Foreign Relations, 2017).

ამგვარად, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის შემუშავების დროს მიიღება გადაწყვეტილება საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის შესახებ. აღნიშნული პროცესი, როდესაც საგარეო

პოლიტიკის არჩევანი და ალტერნატივები ყალიბდება, რეალობაში ბევრად უფრო კომპლექსურია. პრეზიდენტსა და კონგრესს შორის ურთიერთობა, რომელსაც კონსტიტუცია არეგულირებს, ემყარება თანამშრომლობის, კონფრონტაციის, კონკურენციისა და კომპრომისების ნაზავს. ამ ურთიერთობებს კი მართლაც სჭირდება ,,პენსილვანია ავენიუს'' დიპლომატია, რომელიც გამოხატავს და არეგულირებს შტოებს შორის ურთიერთობებს.

2.2 აშშ-ის 2008 წლის არჩევნები და ,,გადატვირთვის პოლიტიკის'' დასაწყისი

2008 წლის ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნები ეროვნული ეკონომიკური კრიზისის დროს გაიმართა, რაც ხასიათდებოდა მკვეთრი ვარდნით ფინანსურ ბაზრებზე და უმუშევრობის ზრდით. გარდა ამისა, 2008 წლის ბოლოსთვის, ავღანეთსა და ერაყში ამერიკელი სამხედროების განლაგებას ბევრი ამერიკელი სკეპტიკურად უყურებდა. ამ საშინაო და საგარეო გამოწვევების ფონზე, აშშ-ის 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები იყო ისტორიული, რადგან დემოკრატი ბარაკ ობამა იყო პირველი აფრო-ამერიკელი, რომელსაც გამარჯვების დიდი შანსი ჰქონდა. 2007 წელს, ილინოისის შტატში, ძველი კაპიტოლიუმის შენობის წინ, მან განაცხადა, რომ მონაწილეობას იღებდა საპრეზიდენტო მარათონში. ობამას მიერ ამ ადგილის შერჩევამ განაპირობა ის, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა ამ ფაქტს სიმბოლური მნიშვნელობა მიანიჭა, რადგან აქ, 1858 წელს, ისტორიული სიტყვით გამოვიდა აშშ-ის მე-16 პრეზიდენტი აბრაჰამ ლინკოლნი (Pearson, 2007).

დემოკრატიული პარტიის პრაიმერში რამდენიმე კანდიდატმა მიიღო მონაწილეობა, თუმცა მათგან მხოლოდ ორი - ბარაკ ობამა და ჰილარი კლინტონი დარჩნენ. ობამამ კლინტონს აჯობა და მოიპოვა დელეგატთა საკმარისი რაოდენობა პარტიის

კანდიდატად გახდომისათვის. შედეგად, ჰილარი კლინტონმა დაასრულდა თავისი კამპანია და ობამას დაუჭირა მხარი. ამასთან, ბარაკ ობამასთან ერთად, ვიცე პრეზიდენტობაზე კენჭს იყრიდა სენატორი ჯო ბაიდენი. აღსანიშნავია, რომ წინაასაარჩევნო პერიოდში, ბარაკ ობამას კამპანიამ დაამყარა რამდენიმე რეკორდი. კერძოდ, 2008 წელს ობამა გახდა პირველი დემოკრატი კანდიდატი, რომელმაც უარი თქვა კამპანიის საზოგადოებრივ დაფინანსებაზე (Walker, 2008: 1107).

რაც შეეხება რესპუბლიკური პარტიის 2008 წლის პლატფორმას, მათი კანდიდატი იყო ჯონ მაკკეინი, ხოლო ვიცე პრეზიდენტობაზე კენჭს იყრიდა ალასკის გუბერნატორი სარა პეილინი (The Guardian, 2008).

,,ცვლილება'' იყო 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ბარაკ ობამას კამპანიის მთავარი ლოზუნგი, რომელიც ორ მიმართულებას მოიცავდა: პირველი, ცვლილებას თეთრ სახლში და მეორე, ამერიკის ურთიერთობების ცვლილებას მის პარტნიორებთან უფრო თანამშრომლობითი გზით. საერთაშორისო პარტნიორებისა და ამერიკის მოსახლეობის მოლოდინით, განსხვავებით წინამორბედებისგან, ბარაკ ობამას ადმინისტრაცია თავიდან აირიდებდა უნილატერალიზმს და საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების დროს საერთაშორისო სამართლის ნორმებით იხელმძღვანელებდა. ობამას კამპანია დიდ ყურადღებას უთმობდა იმედსა და ცვლილებებს, ასევე, ერაყის ომის სწრაფ დამთავრებას და ურთიერთობების დალაგებას რუსეთთან, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ჩიხში იყო შესული. ამასთან, ამერიკა რჩებოდა მსოფლიოს ჰეგემონ სახელმწიფოდ, და, შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ არა ამერიკელი ხალხი არ მონაწილეობს ამერიკის არჩევნებში, მათი ინტერესი აღნიშნული მიმართ არის მაინც ძალიან მაღალი, გამომდინარე იქიდან, რომ აშშ გვევლინება მსოფლიოს დღის წესრიგის განმსაზღვრელ ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ (Mangu, 2013: 172).

ბარაკ ობამა წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ჯონ მაკკეინთან შედარებით, რუსეთის მიმართ შედარებით ნეიტრალური პოლიტიკით ხასიათდებოდა. ხშირად უსვამდა ხაზს, რომ ზოგ საკითხში რუსეთთან მოლაპარაკებებს ამჯობინებდა, ზოგში - პოზიციებს არ დათმობდა. მართლაც, ინაუგურაციის შემდეგ, ახალმა პრეზიდენტმა საგარეო პოლიტიკის წარმოების ახალი ეტაპი დაიწყო. აქცენტი კეთდებოდა ამერიკასა და

რუსეთს შორის თანამშრომლის გაღრმავებაზე ისეთ საკითხებზე, რომლებშიც მათი შეხედულებები ერთმანეთს ემთხვეოდა. სწორედ ამ შეხედულებებზე დაფუძნდა ,,გადატვირთვის“ პოლიტიკა. მიუხედავად ამისა, რჩებოდა ისეთი თემებიც, სადაც ობამას ადმინისტრაცია დათმობას არ აპირებდა - აშშ არ დაუშვებდა, რომ რუსეთს მეზობელ ქვეყნებზე თავისი გავლენა გაევრცელებინა. (Walker, 2008).

ამის გათვალისწინებით, მაკკეინი ობამას მიიჩნევდა, როგორც ამერიკისათვის ზედმეტად ლიბერალურ საპრეზიდენტო კანდიდატს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე კანდიდატი ეწინააღმდეგებოდა რუსეთის აგრესიულ ქმედებას, მაკკეინი შედარებით რთულ გზას ირჩევდა რუსეთთან ურთიერთობისათვის, ხოლო ობამას აზრით, მიუხედავად რუსეთის აშკარა ინტერვენციისა საქართველოში, საჭირო იყო მასთან მოლაპარაკების ენის გამონახვა და თანამშრომლობის შენარჩუნება ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე მაინც, როგორიცაა ბირთვული განიარაღება. სწორედ ეს სურვილი დაედო რუსეთთან ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის შემუშავებას (ICPSR, 2008).

ამრიგად, 2008 წლის 4 ნოემბერს არჩევნებზე მისული ამომრჩევლიდან 52.9% მხარი დაუჭირა ობამას, ხოლო 45.7% - მაკკეინს. ბარაკ ობამა გახდა პირველი აფრო-ამერიკელი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების 44-ე პრეზიდენტად აირჩიეს (The New York Times, 2008).

თეთრ სახლში მისულმა ბარაკ ობამამ საგარეო პოლიტიკის ფორმირების ახალი ეტაპი დაიწყო. ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად, ამ დროისათვის, რჩებოდა რუსეთის ფედერაცია და საჭირო იყო ახალი სტრატეგიის შემუშავება მასთან ურთიერთობების ნორმალიზების მხრივ. პრეზიდენტობის პირველივე თვეებში, ობამას ადმინისტრაციამ შეიმუშავა რუსეთთან ,,გადატვირთვის'' პოლიტიკა, რომელის საჭირო გახდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ჩიხში შესული ურთიერთობებისათვის პოზიტიური მიმართულების მისაცემად. აღნიშნული პოლიტიკა მიზნად ისახავდა დაძაბული ურთიერთობების განმუხტვას და თანამშრომლობის გაღრმავებას მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს ,,აგვისტოს ომის'' დროს აშშ-ის ხელისუფლების სათავეში რესპუბლიკელები იყვნენ, ობამას ადმინისტრაციამ გამოიჩინა დიპლომატია და გადაწყვიტა რუსეთთან ურთიერთობების მეტ-ნაკლებად ნორმალიზება, ისეთ საკითხებში მაინც, როგორიცაა საერთაშორისო

ტერორიზმი, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და 21-ე საუკუნის გამოწვევები, რომლებიც ორივე ქვეყანას აწუხებდა (Aristova, 2013).

2009 წლის იანვარში აშშ-რუსეთის ურთიერთობები ძალიან დაბალ ნიშნულზე იყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ. ორ ქვეყანას შორის კავშირები ომამდე დაადგა დაქვეითების გზას სტრატეგიული შეიარაღების კონტროლის, სარაკეტო თავდაცვისა და ნატო-სთან საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობების საკითხთა გამო. ამიტომ, ობამას ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ცვლილებებით განეახლებინა მოსკოვთან თანამშრომლობა. 2009 წლის თებერვალში ადმინისტრაციამ გამოაცხადა რუსეთთან ,,გადატვირთვის'' პოლიტიკა - მცდელობა, ორმხრივი ურთიერთობები გამხდარიყო უფრო თანამშრომლობითი და დადებითი შედეგის მომტანი. ამასთან, ადმინისტრაცია იუწყებოდა, რომ თუ ვერ დაინახავდა აშკარად პოზიტიურ ძვრებს რუსეთიდანაც, შეწყვეტდნენ მის გატარებას (Aristova, 2013).

ასეთ ფონზე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა და ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ,,გადატვირთვის'' ღილაკს დააჭირეს ხელი. ცივი ომის მეტოქეებს შორის თანამშრომლობის ახალი ერა უნდა დაწყებულიყო. (Pifer, 2014: 111). იგი მიზნად ისახავდა ამერიკა-რუსეთს შორის არსებული ურთიერთობების პოზიტიურად ,,განახლებას'' და ღილაკზე მის ნაცვლდ შეცდომით იყო დაწერილი სიტყვა ,,გადატვირთვა'' (BBC, 2009).

ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხთა ბელფერის ცენტრის ექსპერტთა მიერ მომზადებული ანგარიში ,,რუსეთი და აშშ-ის ეროვნული ინტერესები: რატომ უნდა იზრუნონ ამერიკელებმა?'' გვთავაზობს დეტალურ კვლევას იმის შესახებ, თუ რატომ არის რუსეთი ამერიკისათვის მთავარი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტი და რატომ იყო მნიშვნელოვანი რუსეთთან ურთიერთობების ,,გადატვირთვა'', რადგან რუსეთის ქმედებებმა შეიძლება სერიოზული გავლენა იქონიოს ამერიკის სასიცოცხლო ინტერესებზე.

,,გადატვირთვის" პოლიტიკა და დიალოგი რუსეთთან აუცილებელი იყო შემდეგი მიზეზების გამო:

- ბირთვული არსენალი - ბარაკ ობამა ბირთვულ ტერორიზმს მიიჩნევდა, ამერიკის უსაფრთხოების მთავარ გამოწვევად. მსოფლიო ბირთვული იარაღის 95%

სწორედ ამერიკასა და რუსეთზე მოდის, შესაბამისად, რუსეთთან თანამშრომლობა და დახმარება აუცილებელია ბირთვული საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

- მასობრივი იარაღის გაუვრცელებლობა - რუსეთი მნიშვნელოვან როლს თამაშობს აშშ-ის საერთაშორისო ძალისხმევაში, რომელიც ზღუდავს ბირთვული იარაღის გავრცელებას არა მხოლოდ ნაციონალური სახელმწიფოების, არამედ არასახელმწიფო აქტორების მიერ. რუსეთის დახმარების გარეშე, ამერიკის შეერთებულ შტატებს ესახება დამატებითი სირთულეები მასობრივი იარაღის გავრცელების პრევენციისას.
- გეოპოლიტიკა - რუსეთი დღევანდელი საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქტორია. მასთან მჭიდრო თანამშრომლობა ძალთა ბალანსს შეუწყობს ხელს - მათ შორის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, როგორც გლობალური ძალის ჩამოყალიბებაში ხელის შეშლა.
- ავღანეთი - ძალები, რომლებიც ებრძვიან ამერიკას, აქტიურად უჭერდნენ მხარს რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ და ტერორისტულად განწყობილი ჯგუფებს. შესაბამისად, შეიძლებოდა მოლაპარაკებები, რომ გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში, რუსეთის ფედერაციას ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ტვირთისა და სამხედროების ტრანსპორტირების საქმეში დახმარება გაეწია საკუთარი აეროპორტებისა და ბაზების გზით. აღნიშნული მიდგომა კიდევ უფრო აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც ბარაკ ობამას ადმინისტრაციას ურთიერთობები დაეძაბა პაკისტანთან.
- ენერგეტიკული რესურსები - რუსეთი არის სახელმწიფო, რომელსაც გაზისა და ნავთობის ერთ-ერთი უდიდესი მარაგი გააჩნია. ამგვარად, რუსეთი აქტიურ როლს თამაშობს ენერგეტიკული წყაროების შენარჩუნებასა და გაფართოვებაში, რაც უზრუნველყოფს მსოფლიო ეკონომიკის სტაბილურ ზრდას.
- ფინანსები - რუსეთი არის ,,დიდი რვიანის'' და ,,დიდი ოცეულის'' წევრი, რაც აუცილებელს ხდის მსგავსი ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე ქვეყანასთან ერთ მაგიდასთან დაჯდომისა და მოლაპარაკებების წარმოებას.

- სტრატეგიული გეოგრაფია - რუსეთი არის ყველაზე დიდი ქვეყანა დედამიწაზე. ის მდებარეობს ევროპის, აზიისა და ახლო აღმოსავლეთის სტრატეგიულ გზაჯვარედინზე და არის ამერიკის მეზობელი არქტიკაში (Allison et al, 2011: 9-10).

ამ სფეროების განხილვა ცხადყოფს, რომ რუსეთის ქმედებები პირდაპირ აისახება ამერიკის ეროვნულ ინტერესებზე და ცოტა მოიძებნება ისეთი მნიშვნელოვანი ქვეყანა აშშ-სთვის, როგორიც რუსეთის ფედერაციაა (Allison et al, 2011: 10).

მიუხედავად ზედაპირული დადებითი შედეგებისა, ნათელია, რომ მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის დაძაბულობა კვლავ რჩებოდა. უფრო მეტიც, ილუზია, რომ რუსეთი საერთაშორისო სისტემის სამართლიანი მოთამაშე შეიძლება გამხდარიყო არა ძალისმიერი, დათმობითი პოლიტიკის შედეგად, ფაქტობრივად, მიუღწეველი იყო, რასაც სირიის კრიზისი და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემთხვევებიც მოწმობს.

3. ,,ობამას დოქტრინა'' და ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის თავდაპირველი ეტაპი

3.1. ,,ობამას დოქტრინა''

ამერიკის შეერთებული შტატების სხვა პრეზიდენტებისაგან განსხვავებით, რომლებსაც სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის სახით ჰქონდათ დოქტრინები შემუშავებული, ბარაკ ობამას დოქტრინა არ არის ამ ფორმით სტრუქტურირებული. ჟურნალ ,,The Atlantic-ის'' მთავარ რედაქტორს, ჯეფრი გულდბერგს, სტატიაში ,,ობამას დოქტრინა'' თავმოყრილი აქვს პრეზიდენტის ოფიციალური განცხადებები, საუბრები სახელმწიფო მოღვაწეებთან, ინტერვიუები და ა.შ. (Goldberg, 2016). ობამას დოქტრინის მეშვეობით მკითხველი ეცნობა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის შეხედულებებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების შესახებ. ,,ობამას დოქტრინის'' სიღრმისეული შესწავლის გზით, გავაანალიზეთ მისი ადმინისტრაციის პოლიტიკური გადაწყვეტილები რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებისა და ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის შესახებ ამერიკული მხარის მოლოდინების შესახებ.

პრეზიდენტ ობამას საგარეო პოლიტიკის დოქტრინა, ისევე როგორც სხვა საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები, იყო საკმაოდ წინააღმდეგობრივი და აკლდა თანამიმდევრულობა. ობამას ადმინისტრაციამ თავი შეიკავა, რათა ჩამოეყალიბებინა ქვეყნის იმდროინდელი საგარეო პრიორიტეტები ოფიციალურ, ყოვლისმომცველ, გლობალურ დოქტრინად, მაგრამ ადმინისტრაციას ჰქონდა წინასწარ, კარგად გათვლილი ხედვები ქვეყნის სამომავლო პოლიტიკაზე (Goldberg, 2017).

ზოგადად, დოქტრინის ცენტრალური ნაწილი ხაზს უსვამს მოლაპარაკებებისა და თანამშრომლობის მნიშვნელობას, ვიდრე კონფრონტაციულ და ცალმხრივ საერთაშორისო ურთიერთობებს. იგი შეიძლება აღვიქვათ, როგორც ინტერნაციონალისტი ბუშის დოქტრინის მისასალმებელ ცვლილებად, რაშიც ძირითადად იგულისმხება ხისტიდან რბილ ძალაზე გადასვლა (Rohde, 2012).

ობამას ადმინისტრაცია ქვეყნის სათავეში მოვიდა, რათა შეეცვალა ბუშის ადმინისტრაციის მიერ დაშვებული შეცდომები. როგორც მათი პირველი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია იუწყება, მთავარ მიზნად დაისახა გრძელვადიანი პრიორიტეტების გაუმჯობესება და ახალ გამოწვევებზე მორგება (Goldberg, 2017).

დოქტრინის ერთ-ერთ ნაწილში ბარაკ ობამა თავს ინტერნაციონალისტად მოიხსენიებს. ის, ასევე, ფიქრობს, რომ იდეალისტია, რადგან მიიჩნევს, რომ მსოფლიომ ხელი უნდა შეუწყოს ისეთი ღირებულებების გავრცელებას, როგორიც არის დემოკრატია და ადამიანის უფლებები. გარდა ამისა, პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სისტემის სხვა დიდი სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებულ შტატებს არ ამოძრავებდა მხოლოდ პირადი ინტერესები, არამედ მისი პოლიტიკა მიმართულია იმ ზოგადი ნორმების და პრინციპების ჩამოყალიბებისაკენ, რომელიც მსოფლიოს უკეთესს გახდიდა (Goldberg, 2016).

დოქტრინის ცენტრალურ ნაწილში, ობამა ეხმიანება სირიაში მის მიერ მიღებულ ჩაურევლობის პოლიტიკას და ,,წითელი ხაზის'' გადაკვეთას. 2013 წელს, როდესაც გაერო-ს სადამკვირვებლო მისიამ დაადასტურა ასადის რეჟიმის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტი, ნაცვლად საავიაციო შეტევებისა, ობამამ დიდი ოცეულის სამიტზე პუტინს შესთავაზა, რომ დაეთანხმებინა ბაშარ ალ-ასადი უარი ეთქვა ქიმიური იარაღის გამოყენებაზე, რაც შეამცირებდა სირიაში სამხედრო ჩარევის საჭიროებას.

,,მჯერა, რომ საბოლოოდ, ეს იყო მართებული გადაწყვეტილება“ განაცხადა ბარაკ ობამამ, რომელმაც დასძინა, რომ ვლადიმერ პუტინი სულელი არ არის და ხედავდა, რომ რუსეთის პოზიციები მსოფლიოში შესუსტდა, ხოლო ბაშარ ალ-ასადის მხარდაჭერა და ყირიმის ოკუპაცია რუსეთის ლიდერს ზედმეტი ძალისხმევის გარეშე გავლენიან აქტორად არ აქცევდა (Goldberg, 2016).

სტატია მნიშვნელოვან ინფორმაციებს გვაწვდის ამერიკული მხარის შეხედულებებზე რუსეთ-უკრაინის ომის შესახებ.. აშშ-ის პრეზიდენტი, ბარაკ ობამა ღიად აღნიშნავს, უკრაინა არ არის ამერიკისათვის ისეთი მნიშვნელოვანი, რომ რუსეთთან ურთიერთობების დაძაბვად ღირდეს. ობამას თქმით, ,,რუსეთის შეკავების გზები, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ უნდა განისაზღვროს ღირს თუ არა მათი განხორციელება''. აშშ-ის პრეზიდენტი უარყოფს მოსაზრებას, რომ რუსეთში

გადაწყვეტილების მიღების პროცესზე რაიმე გავლენას მოახდენდა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან მკაცრი რიტორიკა ან სამხედრო მოქმედება (Goldberg, 2016).

საერთო ჯამში, უნდა ითქვას, რომ ბარაკ ობამას ადმინისტრაცია ცდილობდა, დოქტრინაში ასახული შეხედულებები და სტრატეგიული ხედვები თანხვედრაში მოეყვანა საკუთარ ქმედებებთან. ლიბერალური იდეოლოგიის გავრცელების სურვილის კვალდაკვალ, ადმინისტრაციამ ვერ შეძლო საზღვარგარეთ თანმიმდევრული იდეოლოგიის გატარება, რაც აისახა სირიის კრიზისისა და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემთხვევებში.

3.2 ბარაკ ობამას ადმინისტრაციის ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან

თეთრ სახლში ,,ცვლილებებით'' მოსული ბარაკ ობამა მნიშვნელოვნად ცვლის ბოლო 20 წლის განმავლობაში ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს. მის ერთ-ერთ პირველ და მთავარ საგარეო პოლიტიკურ ინიციატივად რუსეთთან ,,გადატვირთვის'' პოლიტიკა დასახელდა. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა, მსოფლიოს, მათ შორის აშშ-ს აჩვენა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისა და ცივი ომის დასრულების შემდეგ, რუსეთი ჩამოყალიბდა აქტორად, რომელიც არ ერიდება ძალისმიერი პოლიტიკის გატარებას საერთაშორისო ურთიერთობებში. სწორედ ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ რუსეთთან ურთიერთობის საკითხი თეთრ სახლში აქტიურად განიხილებოდა. ობამას ადმინისტრაცია რუსეთს სთავაზობდა საერთო ინტერესების გათვალისწინებით ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესებას. რუსეთის ხელისუფლებისადმი ამ ურთიერთობების პარალელურად, პრეზიდენტი ობამა და მისი ადმინისტრაცია უშუალოდ რუსულ საზოგადოებასთან თანამშრომლობას გეგმავდა - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ბიზნესმენებს შორის ორმხრივი კავშირების გამყარების გზით (Aristova, 2013).

ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მიზანი იყო ურთიერთობების ,,გაგრილება'' რუსეთთან, რომელიც მისი წინამორბედის, ჯორჯ ბუშის დროს, საკმაოდ დაძაბული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბუშის ადმინისტრაციის დროს აშშ-რუსეთის ურთიერთობები იყო მკვეთრად დაძაბული, ახალი ადმინისტრაციის პირობებში, რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა, პრემიერ მინისტრ ვლადიმერ პუტინთან ერთად შეძლეს 2009 წელს ლონდონში გამართულ ,,დიდი ოცეულის'' სამიტზე ორ ქვეყანას შორის ახალი ურთიერთობების დაანონსება, რომელიც შედარებით გაათბობდა ქვეყნებს შორის დაძაბულ ურთიერთობას. ,,გადატვირთვის'' პოლიტიკა დაიწყო (Aristova, 2013).

2009 წლის ივლისში, ბარაკ ობამა ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა მოსკოვს, სადაც ის შეხვდა პრეზიდენტ მედვედევსა და პრემიერ-მინისტს პუტინს. ახალ ეკონომიკურ სკოლაში სიტყვით გამოსვლისას, ობამამ განაცხადა, რომ ამერიკას სურს ძლიერი, მშვიდობიანი და წარმატებული რუსეთი, რასაც ემყარება ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი. პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ ორივე ქვეყანა მდგრად ძალისხმევას ჩადებს ამ მიზნის მისაღწევად (Aristova, 2013).

ამავე ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ''სტრატეგიული შეიარაღების შემცირებს შესახებ ხელშეკრულების'' ხელმოწერისათვის, რისთვისაც ჟენევაში მოლაპარაკების ათი რაუნდი ჩატარდა. ხელშეკრულების მომზადების მიზნით ოფიციალური ვიზიტით მოსკოვს ეწვია ჰილარი კლინტონი. ამასთან, მოლაპარაკებებში მონაწილეობდა ელენ ტოშერი - ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე შეიარაღების კონტროლის საკითხებში. ხელშეკრულების განახლება მას შემდეგ გახდა აუცილებელი, რაც 1991 წელს დადებულ ,,სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ'' ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა. შედეგად, 2010 წელს ბარაკ ობამამ და დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას (Warren, 2014: 50).

ხელშეკრულების მიხედვით, 3 ძირითადი პუნქტი უნდა განხორციელებულიყო: ამერიკამ და რუსეთმა ორჯერ უნდა შეამცირონ სტრატეგიული იარაღის გადამტანები და მძიმე ბომბდამშენები. ბირთვული ქობინების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1500-ს, სტრატეგიული იარაღის გადამტანის რაოდენობა - 800-ს. ამასთან, მხარეები

შეთანხმდნენ, 700-მდე შეამცირონ წყალქვეშა გემებისა და ბირთვული იარაღის მატარებელი ბალისტიკური იარაღის რაოდენობა (Warren, 2014: 54).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამერიკა არ დათანხმდა მოთხოვნას, რომელიც აშშ-ის ანტისარაკეტო სისტემებისა და გადამზიდი საშუალებების შემცირებასაც გულისხმობს. 2009 წელს ჯო ბაიდენი პოლონეთს, ჩეხეთსა და რუმინეთს ეწვია, სადაც აღნიშნულმა ქვეყნებმა მზადყოფნა გამოთქვეს თავის ტერიტორიაზე თავდაცვითი ფარების განლაგებისათვის, რამაც, ბუნებრივია, რუსეთის გაღიზიანება გამოიწვია. სწორედ ამიტომ, რუსეთთან ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის პროცესის წარმატებით მიმდინარეობისათვის ამერიკა რუსეთთან დათმობაზე წავიდა და აღნიშნული მოლაპარაკებები დროებით მიატოვა (Obama White House, 2009).

''სტრატეგიული შეიარაღების შემცირებს შესახებ ხელშეკრულებას'' ობამას ადმინისტრაცია ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის ერთ-ერთ წარმატებად მიიჩნევდა, რომელსაც ნიშანი უნდა მიეცა სხვა ბირთვული სახელმწიფოებისათვის, რომ ამერიკა მზად იყო, ბირთვული იარაღის შემცირებისათვის.

აშშ-რუსეთს შორის შეთანხმება შედგა, ასევე, ავღანეთის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ამერიკას მეტ მოქნილობას მატებდა. რუსეთი იღებდა ვალდებულებას, გაეხსნა საჰაერო სივრცე ავღანეთისაკენ ტვირთვის გადამზიდავი ამერიკული თვითმფრინავებისათვის, რაც ''სტრატეგიული შეიარაღების შემცირებს შესახებ ხელშეკრულებასთან'' ერთად ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის თავდაპირველ პროგრესად შეიძლება განვიხლოთ (Aristova, 2013).

2010 წლის 12-13 აპრილს ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და რუსეთმა ხელი მოაწერეს მასობრივი იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებას. იგი მოსდევს მანამდე ჩეხეთში, პრაღაში ბირთვული იარაღის შესახებ აშშ-რუსეთის შეთანხმებას (Aristova, 2013).

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ბარაკ ობამა და დიმიტრი მედვედევი გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხვა წევრებთან ერთად თანამშრომლობდნენ, ეხებოდა ირანსა და ჩრდილოთ კორეას. ამერიკა ცდილობდა უშიშროების საბჭოს მეშვეობით ირანისათვის სანქციების დაწესებას მას შემდეგ, რაც მან 2010 წელს ირანმა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს განუცხადა, რომ ბირთვული პროგრამის სააგენტოსეულ

ვერსიას არ დააკმაყოფილებდნენ. სანქციებთან დაკავშირებით თავდაპირველად ორაზროვანი პოზიცია ჰქონდა რუსეთს, რომელთანაც მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. ეს იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი რუსეთისათვის, რომელმაც უარი თქვა უზრუნველყო ირანი S-300 ტიპის თავდაცვითი სისტემებით, წინააღმდეგ შემთხვევაში იარაღის მიყიდვა დაარღვევდა გაერო-ს მიერ დაწესებულ სანქციებს (Aristova, 2013).

ის ფაქტი, რომ ,,გადატვირთვის'' პოლიტიკა ამერიკის მხრიდან გარკვეულ დათმობებს მოითხოვდა შემდგომი წარმატებისათვის, ნათელი გახდა. ამის ერთ-ერთ მაგალითს კი ყირგიზეთის რევოლუცია წარმოადგენს, სადაც განთავსებული მანასის სამხედრო ბაზა ნატო-ს ჯარისკაცებისათვის უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია. ამიტომ ერთი შეხედვით ცენტრალური აზიის შორეულ სახელმწიფოს, აშშ-ის ეროვნული ინტერესებისათვის დიდ დატვირთვა აქვს. 2010 წელს მთავრობის გადადგომის მოთხოვნით დაწყებულ მასობრივ საპროტესტო აქციებში ჩაერთო მოსკოვი, რომელსაც ღიად გამოხატავდა უკმაყოფილებას ბაკიევის ხელისუფლების მიმართ, რადგან მან უარი თქვა მანასის ამერიკული სამხედრო ბაზის დახურვაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ბაკიევის ფიგურა რუსეთის მმართველი წრეებისათვის მიუღებელი იყო, მათ დახმარება ოპოზიციას აღმოუჩინეს და მალე აღიარეს იგი (The Guardian, 2010).

ნათელია, რომ აშშ-ის დოებით მთავრობასთან ისეთი ურთიერთობა, როგორიც ბაკიევის დროს ჰქონდა, აღარ ექნება. რომ არა ავღანეთის კამპანია და მანასის სამხედრო ბაზის მნიშვნელობა ამერიკის ეროვნული უსაფრთხოებისათვის, ყირგიზეთი ამერიკის ფოკუსში, შეიძლება, არც კი მოხვედრილიყო (The Guardian, 2010).

ამავე პერიოდში, რუსეთმა ერთ-ერთ მთავარ საგარეო პოლიტიკურ მიზნად დაისახა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება, რაშიც კიდეც ერთხელ გამოჩნდა ამერიკის დათმობითი პოლიტიკა და აქტიურად ლობირებდა მის წევრობას. რუსეთის პრეტენზიას გამოთქვამდა იმის თაობაზე, რომ გაწევრიანების საკითხი პოლიტიკური ნიშნით ფერხდებოდა. ამერიკის მმართველ წრეებში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ რუსეთის ორგანიზაციის წევრობა მათთვის მომგებიანი იქნებოდა (Allison et al, 2011: 32). იმისათვის, რომ რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გამხდარიყო, ამერიკამ მას მნიშვნელოვანი ორმხრივი დახმარება გაუწია. 2012 წლის 12 აგვისტოს, 19 წლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, რუსეთი წარმატებით შეუერთდა ორგანიზაციას.

ამერიკული მხარე ფიქრობდა, რომ იგი საბოლოოდ დაამყარებდა რუსეთთან ნორმალურ სავაჭრო ურთიერთობებს და, შესაბამისად, ჯექსონ-ვანიკის პროცესიდან მოხსნიდა მას, ეს კი ორმხრივი სავაჭრო და საინვესტიციო კავშირების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანება, ერთი შეხედვით, ამერიკის ეროვნულ ინტერესებსაც ემსახურებოდა, მისი პირველადი ეფექტი შეიძლება სულაც არ ყოფილიყო მომგებიანი, მაგალითად, რუსეთის კორუფციულ ბიზნეს გარემოში ამერიკული კომპანიების მუშაობა (Allison et al, 2011: 32).

ამ პერიოდში, 2010 წელს გამოქვეყნებული ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოებს სტრატეგია ქვეყნის მთავარ გამოწვევად ტერორიზმს ასახელებდა, თუმცა დიდი ადგილი ეთმობოდა რუსეთის საკითხსაც. სტრატეგიაში ვკითხულობთ, რომ აშშ მუშაობს მასთან ურთიერთობის გაღრმავებაზე. ამავე სტრატეგიის მიხედვით, რუსეთი თანდათან უფრო და უფრო ძლიერდება (National Security Strategy, 2010).

ორ ქვეყანას შორს ურთიერთობების შედარებით დათბობის მიუხედავად, ამავე პერიოდში მათ შორის რამდენიმე სერიოზული სკანდალიც მოხდა, რომელთაგან ხაზგასასმელია ,,მაგნიცკის საქმე'' აშშ-ის მხრიდან და ,,სნოუდენის'' - რუსული მხარის მხრიდან.

2009 წელს რუსი ადვოკატი სერგეი მაგნიცკი ციხეში გარდაიცვალა. საყოველთაოდ გავრცელებული აზრის თანახმად, მაგნიცკი დაკავების მიზეზი რუსეთის ფინანსური ხრიკების გამოაშკარავებაზე მუშაობა იყო. ამის მიუხედავად, რუსულ მხარეს არავინ დაუსჯია. 2012 წელს აშშ-მ რუსეთის მოქალაქეების წინააღმდეგ მკაცრი შეზღუდვები დააწესა და ამით ფიქრობდა, რომ ისინი პასუხს აგებდნენ მაგნიცკის მკვლელობისათვის. აიკრძალა მათთვის სავიზო პროცედურები და საბანკო ტრანზაქციები (Suslov, 2013: 8).

,,მაგნიცკის აქტის'' საპასუხოდ, ამერიკა რუსეთისგან შემდგომ ნაბიჯებს ელოდა. შედეგად, ამერიკის სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი, ჯაშუშობაში ბრალდებული ედვარდ სნოუდენი, რომელმაც საჯარო გახადა ინფორმაცია ამერიკის

საიდუმლო სათვალთვალო პროგრამების შესახებ, პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით მოსკოვმა შეიფარა (US news, 2014).

როგორც ვნახეთ, ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დასაწყისში, მაშინ, როდესაც ,,გადატვირთვის'' პოლიტიკა დაიბადა, გარკვეული პროგრესი აშშ-რუსეთის ურთიერთობებში მართლაც აღინიშნებოდა. ამის ერთ-ერთ უმთავრეს მაგალითად ''სტრატეგიული შეიარაღების შემცირებს შესახებ ხელშეკრულების'' დადებას განიხილება. ამის პარალელურად, დაძაბულობა და უთანხმოება ორ ქვეყანას შორის ღრმავდებოდა და ,,გადატვირთვის'' ინიციატივით ურთიერთობათა სტაბილიზება სულ უფრო იდეალისტურ ხასიათს იძენდა.

3.3 პოლიტიკის ანალიტიკოსების და კონგრესის წევრების განსხვავებული შეხედულებები ,,გადატვირთვის'' პოლიტიკაზე

საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტის, რობერტ კაპლანის აზრით, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, მას შემდგ, რაც ამერიკამ მტკიცედ განიმტკიცა გლობალური აქტორის როლი, მას ყოველთვის ჰქონდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური მიზნები და დასახული ჰქონდა მათი მიღწევის საშუალებები. ბარაკ ობამას ადმინისტრაციას კი არ ჰქონდა კონსტრუქციულად ჩამოყალიბებული საგარეო პოლიტიკა, რაც, შესაბამისად, ართულებდა საგარეო ასპარეზზე ეროვნული ინტერესების განხორციელებას. რობერტ კაპლანის აზრით, ბარაკ ობამა და მისი ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირები არ იყვნენ ისეთი იმპროვიზატორები, როგორიც, მაგალითად, ჰენრი კისინჯერი. კაპლანის აზრით, ეს მდგომარეობა, ბუნებრივია ართულებს ურთიერთობებს ნორმალიზების მცდელობას რუსეთთანაც (Kaplan, 2013).

ობამას საგარეო პოლიტიკასა და, კონკრეტულად, რუსეთის ფედერაციასთან ახალი ურთიერთობების მიზნებსა და ხარვეზებზე საუბრობს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი მოსკოვში, მაიკლ მაკფოლი, რომელიც იყო ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის ერთ-ერთი განმახორციელებელი. იგი 2012 წლის იანვრიდან მუშაობდა

რუსეთში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩად და მიიჩნევა, როგორც რუსეთის და რუსეთთან დაკავშირებულ სტრატეგიული საკითხების ერთ-ერთ საუკეთესო ამერიკელ მცოდნედ. როგორც მაკფული აღნიშნავს ,,გადატვირთვის'' პოლიტიკაზე საუბრისას, ,,ეს არ იყო მუსიკალური გემოვნების შეცვლა, ეს იყო ამერიკის მოქმედი ადმინისტრაციის მხრიდან საკუთარი ახალი საგარეო პრიორიტეტების განხორციელება, ისეთების, როგორიცაა ,,ხელშეკრულება ბირთვული არსენალის შემცირების შესახებ''. კრემლში კარგად აქვთ გააზრებული, რომ თუ მოუნდებათ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ძალისმიერი პოლიტიკის გატარება, ამერიკის შეერთებული შტატები არაფერს გააკეთებს მის აღსაკვეთად, რადგან რეალობა არის ის, რომ ამის უნარი, სამწუხაროდ, ამერიკას არ აქვს" (Shuster, 2014).

ექსპერტი ნაილ გარდინერი მიმოიხილავს აშშ-რუსეთის ურთიერთობის პერსპექტივებს და გვთავაზობს ჯო ბაიდენის სიტყვით გამოსვლის ანალიზს, რომელიც წარმოთქვა მიუნხენში გამართულ უსაფრთხოების 45-ე კონფერენციის ფარგლებში და რომელშიც დიდი ნაწილი რუსეთს ეთმობოდა. იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულებით. 2009 წლის 7 თებერვალს, მიუნხენის სამიტზე, აშშ-ის ვიცე პრეზიდენტმა ამერიკის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებები გაახმაურა. ბაიდენმა ისაუბრა საკვანძო საკითხებზე, მათ შორის: ირანზე, ავღანეთზე, რუსეთსა და ნატო-ზე. ბაიდენმა განაცხადა, რომ რამდენიმეწლიანი დაძაბული ურთიერთობების შემდეგ, დადგა დრო, ამერიკამ და რუსეთმა ითანამშრომლონ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე (Gardiner, 2009).

ნაილი ბაიდენის გამოსვლას უარყოფითად აფასებს. ექსპერტი მიიჩნევს, რომ ამერიკამ განგებ აარიდა თავი ისეთი საკითხების ხსენებას, რომლებიც რუსეთის გაღიზიანებას გამოიწვევდა. ასეთი თემებია, მაგალითად, საქართველოსა და უკრაინის სამომავლო ინტეგრაცია ნატო-ში. ასევე, ბუნდოვანს უწოდებს ნაილი ამერიკის სურვილს, გადატვირთოს ურთიერთობები რუსეთთან და დაიწყოს თანამშრომლობის ახალი ფაზა, რადგან ,,ეს არის ბრმად დაჯერება რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების, რომელიც დაუოკებლად ატრიალებს თავის კუნთებს ევროპისა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით''. მისი თქმით, ჯო ბაიდენის სიტყვა რუსეთთან დათმობით ხასიათს ატარებდა (Gardiner, 2009).

სტრატეგიული და საერთაშორისო სწავლების ცენტრის ანალიტიკოსი, ჯეფრი მანკოფი, ორაზროვნად აფასებს ბარაკ ობამას დამოკიდებულებას რუსეთის მიმართ, რადგან მიაჩნია, რომ რუსეთის ფედერაცია კვლავ საფრთხედ დარჩება პროგრესული საზოგადოებისათვის. მიუხედავად ბირთვული არსენალის შემცირების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებისა, ამერიკის შეერთებული შტატები მაინც არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა, ყირგიზეთის მიერ მანასის სამხედრო ბაზის შესაძლო ჩაკეტვა ამერიკისათვის, რომელიც ავღანეთში მყოფი ნატო-ს ჯარისკაცებისათვის ბუფერის როლს ასრულებს, ამერიკის ეროვნული ინტერესებისთვის დარტყმა იქნება. საინტერესოა, ასევე, ის ფაქტია, რომ ბაკიევმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც რუსეთმა ყირგიზეთს 2 მილიარდი აშშ დოლარის სახით დახმარება გაუწია. ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით, ჯეფრი მანკოფის აზრით, ობამას ,,გადატვირთვის'' პროცესის დროს სიფრთხილე მართებს (Mankoff, 2009).

საბოლოოდ კი, მანკოფის რეკომენდაციით, უსაფრთხოების საკითხებზე ორ ქვეყანას შორის შეზღუდულ თანამშრომლობას მეტი ადგილი და ყურადღება უნდა დაეთმოს (Mankoff, 2009).

ბარაკ ობამას ადმინისტრაციის ,,გადატვირთვის'' პოლიტიკას დამთმობსა და ლოიალურს უწოდებს ექსპერტი, ნიუ იორკის უნივერსიტეტის პროფესორი რუსეთის მცოდნეობის დარგში სტივენ კოენი. კოენი ცნობილია, როგორც მსოფლიო პოლიტიკაში წინასწარი პროგნოზების და შედეგების ავტორი. კოენი მიიჩნევს, რომ ამერიკასა და რუსეთს შორის დაპირისპირების მრავალი მიზეზი არსებობს: კოსოვო, ირანი, ნატო-ს გაფართოვება, საქართველო, კრემის პოლიტიკა და ატომური იარაღი. ამის პარალელურად, ,,გადატვირთვის'' პოლიტიკაზე საუბარი იმ ფონზე, რომ საპირწონედ ამერიკის დათმობითი პოლიტიკა დევს, უგუნურებაა (Cohen, 2011).

ობამას ადმინისტრაციის ,,გადატვირთვის'' პოლიტიკას კონგრესშიც ბევრი უყურებდა სკეპტიკურად. ,,რესპუბლიკელთა'' საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა ამერიკულ ინტერესებსა და ფასეულობებს და მოუწოდებდნენ ობამას, კიდევ ერთხელ დაფიქრებულიყო აშშ-რუსეთის ურთიერთობების პერსპექტივაზე (Spetalnick, 2011).

წარმომადგენელთა პალატის სპიკერის, ჯონ ბონერის აზრით, რუსეთის ქცევები საერთაშორისო არენაზე სხვა არაფერს ემსახურებოდა, თუ არა საბჭოთა სტილის ძალაუფლების აღდგენას. იგი თვლიდა, რომ ობამას არ უნდა შეეწყო ხელი რუთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის მანამდე, სანამ იგი არღვევდა მეზობელი ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას. შედეგად, როდესაც ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის საპირწონედ ამერიკული ინტერესები დგას, ბონერის აზრით, პრეზიდენტს დაფიქრება მართებს, რადგან ისედაც ნათელია, რომ რუსეთთან კავშირების დამყარების პროცესი რუსეთის მხრიდან ნაკლები დათმობების და მეტი აგრესიულობის ფონზე მიმდინარეობს (Spetalnick, 2011).

ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკას რუსეთის მიმართ აკრიტიკებდა ,,რესპუბლიკელთა'' სენატორი ჯონ მაკკეინი. რუსეთის აგრესიულობის საჩვენებლად, მაკკეინს, სხვა ქვეყნებთან ერთად, საქართველო მაგალითიც მოჰყავდა. ,,ზოგს უკვირს, რატომ ფიქრობენ ქართველები, რომ ,,გადატვირთვის'' ღილაკზე ხელის დაჭერის გამო აშშ-მ ისინი გაყიდა''. ამავე კონტექსტში იხსენიებდა აღმოსავლეთ ევროპელებსაც. მისი თქმით, ამერიკის მოვალეობაა პატივი სცეს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს (Niedowski, 2010).

,,გადატვირთვის'' პოლიტიკის მარცხი გარდაუვალი გახდა. სირიაში და, განსაკუთრებით, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა, როდესაც რუსეთის ფედერაციამ ოფიციალურად მოახდინა ყირიმის ანექსია, ხოლო ამერიკა კვლავ დაშოშმინების პოლიტიკას ირჩევდა, ,,გადატვირთვას'' პოლიტიკას განაჩენი გამოუტანა (Nexon, 2014).

4. სირიის კრიზისი

4.1 სირიის კრიზისის დასაწყისი და შემდგომი განვითარება

2011 წელს დაწყებული ,,არაბული გაზაფხული'' გარდამტეხი მოვლენა აღმოჩნდა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. არაბული სამყაროს წინა რევოლუციური განვითარების მიზეზებიდან აღსანიშნავია:

- მოსახლობის სწრაფი მატება და, შესაბამისად, თაობების ხშირი განახლება. ახალგაზრდობა კი ხშირად რევოლუციურ ძალად შეიძლება იქცეს.
- ქვეყნების მმართველი ელიტების კარჩაკეტილობა იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას, რადგან მათ წრეში შეღწევა ,,უცხო'' ადამიანებისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია.
- არაბული ქვეყნების განათლებულმა ნაწილმა საზღვარგარეთ ნახა უკეთესი ცხოვრება და მმართველი რეჟიმებისათვის სერიოზულ საფრთხედ იქცა მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა. ინფორმაციული ვაკუუმის შექმნა თანამედროვე მსოფლიოში ძალიან რთულია.
- ეკონომიკური განვითარების დაბალი მაჩვენებელი. უმუშევრები და სოციალურად დაუცველები კი ხშირად ხდებიან რევოლუციონერები.
- ცალკეული ადამიანების დაუკმაყოფილებლობა ვერ გამოიწვევს რევოლუციას შესაბამისი ნაპერწკლის გარეშე. სირიის შემთხვევაში ეს იყო ბიჭების წამება პოლიციის მიერ (გაჩეჩილაძე, 2011: 363-364).

განსაკუთრებული მასშტაბითა და სისხლისღვრით გამოირჩეოდა იმავე წელს სირიაში დაწყებული სამოქალაქო ომი, რომელიც იქცა ცივილიზებული მსოფლიოს ერთ-ერთ უმთავრეს საფიქრალად. მასობრივი პროტესტის დასაწყისის როლი ითამაშა 2011 წლის მარტში სამხრეთით მდებარე ქალაქ დერააში სკოლის მოსწავლეების მიერ კედელზე ანტი სამთავრობო ლოზუნგების დაწერამ. ბიჭები პოლიციამ დაიჭირა და სასტიკად სცემა, რასაც მათი ნათესავების მხრიდან პოლიციასთან სისხლიანი დაპირისპირება მოჰყვა. დაიწყო დიდი პროტესტი, რომელიც მთელ სირიაში გავრცელდა. ამავე წლის

ბოლოსათვის სირიაში დაღუპულთა რაოდენობა ორი ათასს მიუახლოვდა, რასაც თან ახლდა უამრავი დაჭრილი და დაკავებული ადამიანი (გაჩეჩილაძე, 2011: 359).

უშედეგო აღმოჩნდა სირიის მმართველი რეჟიმის მიერ სასწრაფოდ გადადგმული სანახევრო ნაბიჯები, მაგალითად, 1963 წლიდან უწყვეტად მოქმედი საგანგებო მდგომარეობის გაუქმება. პროტესტი გრძელდებოდა (გაჩეჩილაძე, 2011: 359).

აღსანიშნავია, რომ სირიის რეჟიმს მყარი მდგომარეობა აქვს არმიაში. ბაშარ ალ-ასადის დამხობა მმართველი ელიტისათვის დამღუპველია. ამასთან, სირიის ოპოზიციაში სწრაფად გამოჩდნენ ისლამისტური ძალები, მაგალითად, სუნიტი ,,მუსლიმი ძმები'', რომელთა ერთ-ერთ მთავარ საყრდენს ქალაქი ჰამა წარმოადგენდა (გაჩეჩილაძე, 2011: 360).

ანტი სამთავრობო საპროტესტო გამოსვლების, ძირითადი, ეწყობოდა ასადთა ოჯახის წინააღმდეგ, რომელიც სირიას ოთხ ათწლეულზე მეტხანს მართავდნენ. საერთაშორისო საზოგადოება ვერ აღმოჩნდა ქმედითი, შეეჩერებინა სირიის კრიზისი, რომელიც დასაწყისიდან გამოირჩეოდა სამოქალაქო პირების მიმართ ჩადენილი დანაშაულის სისასტიკითა და არაადამიანური ქმედებებით, რომელსაც თან სდევდა ქიმიური იარაღის გამოყენება (ბატიაშვილი, 2017).

სირიის სამოქალაქო ომი საშინაო და საგარეო ფაქტორების ერთობლიობის შედეგია, რომელთა შორის აღსანიშნავია დიდი ხნის მანძილზე რეპრესიული შიიტურ-ალავიტური მმართველობა - სირიის მოსახლეობაში სუნიტების პროცენტული რაოდენობა 74%-ს შეადგენს, ხოლო შიიტი-ალავიტების - 13% და, შესაბამისად, შიიტურ-სუნიტური დაპირისპირება, ეკონომიკური სისტემის მინუსები, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის არსებული სექტარიანული დაყოფა, ქვეყანაში არსებული კორუფციის მაღალი მაჩვენებელი და, რაც ყველზე მთავარია, ასადის რეჟიმის ლეგიტიმაციის პრობლემა, რომელსაც თან ახლდა ხელისუფლებიდან მისი ჩამოცილების ინტერესი (ბატიაშვილი, 2017).

საბოლოო ჯამში, კონფლიქტმა შეიძინა ,,ყველა ყველას წინააღმდეგ'' ხასიათი. მასში ჩართული აღმოჩდნენ ასადის რეჟიმი და მისი მომხრეები (რუსეთი, ირანი, ,,ჰეზბოლა''), ზომიერი ოპოზიცია (,,თავისუფალი სირიის არმია'') და სუნიტური სახელმწიფოები, ,,დაეში'', ,,სირიის დემოკრატიული ძალები'' (წარმმართველი ძალა პროქურთული

,,ხალხთა დაცვის შენაერთები'' – YPG) და მათთან ერთად სხვა მცირერიცხოვანი ჯგუფები (ბატიაშვილი, 2017).

მოსახლეობის ეთნიკურ-რელიგიური განსხვავებულობა კიდევ უფრო კომპლექსურს ხდიდა სირიის კრიზისს. პრეზიდენტი ასადი მიეკუთვნება უმცირესობას, ალავიტების ჯგუფს, რომლებიც შიიზმის მიმდევრები არიან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსახლეობის 74% კი სუნიტები არიან. ეს არაჰომოგენურობა, თავის მხრივ, ხელს უშლიდა ერთიანი ოპოზიციური ძალის ჩამოყალიბებას, რომელიც შეიძლება გაერთიანებულიყო საერთო მიზნის გარშემო და საერთაშორისო საზოგადოების უფრო მეტი ყურადღება დაემსახურებინა (Buckley, 2012: 90).

2012 წლიდან სირიაში ვითარება განსაკუთრებით იძაბება. პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი არა მხოლოდ აცხადებდა, რომ იგი გადადგომას არ აპირებდა, არამედ იგი უარყოფდა სირიის უსაფრთხოების ძალების მიერ მოსახლეობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს. 2012 წლის გაერო-ს ანგარიშში აღნიშნულია, რომ ყოველდღიურად დაახლოებით ასი ადამიანი იღუპება, რომელთა შორის ბევრი ქალი და ბავშვია. სირიის ადამიანის უფლებათა ობსერვატორიის ხელმძღვანელის, რამი აბდელ რაჰმანის თქმით, საშუალო სტატისტიკური მონაცემით, ერთი წუთის განმავლობაში ორი რაკეტა ეცემა სირიაში (Buckley, 2012: 87).

სირიის სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ აქტიურად დაიწყო საუბარი ქიმიური იარაღის გამოყენებაზე. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წელს სირიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა, ჯიჰად მაქდისმა აღიარა ქიმიური იარაღის დიდი რაოდენობით ფლობა, მან პირობა დადო, რომ მშვიდობიანი მოსახლეობს წინააღმდეგ არასოდეს გამოიყენებდა. ამავე პერიოდში, სირიის კრიზისის საწყის ეტაპზე, ბარაკ ობამას ადმინისტრაციას ჰქონდა მტკიცე პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ქიმიური იარაღის გამოყენება იქნებოდა ის ,,წითელი ხაზის'' გადაკვეთა, რომელსაც ამერიკა არ დათმობდა და სამხედრო კონფლიქტში ჩაებმებოდა სირიასთან (Arms Control Association, 2019).

სირიაში ქიმიური თავდასხმების შესასწავლად, გაერო-ს ანგარიშებთან ერთად, მნიშვნელოვანი არის ,,ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის'' (OPCW) სპეციალური სადამკვირვებლო მისიის მიერ მოძიებული ფაქტები. იგი ეყრდნობა

როგორც უშუალოდ შემთხვევის ადგილიდან მიღებულ ცნობებს, ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეგროვებულ და დამუშავებულ ინფორმაციებს (Arms Control Association, 2019).

გარდა ამისა, 2011 წლის აგვისტოში გაერო-ს უშიშროების საბჭომ დაარსა სპეციალური კომისია სირიაში ადამიანის უფლებების მიმართულებით დანაშაულის გამოსაძიებლად. კომისიას დაევალა იმ პირების დადგენა, ვინც ჩადიოდა კაცობრიობის წინაშე დანაშაულს. აღნიშნული კომისია მუშაობდა, ასევე, ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტების გამოსაკვლევად და გაერო-ს უშიშროების საბჭოს აწვდიდა ანგარიშს ამის შესახებ (OHCHR, 2011).

2012 წლის 23 დეკემბერს ასადის ხელისუფლებამ ქალაქ ჰომსში პირველად გამოიყენა მომწამლავი ნივთიერება, რის შედეგადაც გარდაიცვალა შვიდი ადამიანი და ასამდე დაშავდა. ეს მოხდა 2012 წლის აგვისტოში ბარაკ ობამას მიერ მიცემული გაფრთხილების გვერდით ავლით, რომ აშშ მიმართავდა სამხედრო ინტერვენციას იმ შემთხვევაში თუ ასადი სირიის მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიურ იარაღს გამოიყენებდა (Arms Control Association, 2019).

ამას მოჰყვა 2013 წელს ქიმიური იარაღის მეორე გამოყენება ელეპოს მახლობლად მდებარე ქალაქ ხან ალ-ასანში, სადაც 20 ადამიანი დაიღუპა. ამავე წლის აგვისტოში ქალაქ გუტაში, ადგილი ჰქონდა ქიმიური იარაღის მასობრივ გამოყენებას. მსხვერპლის რიცხვი იყო ძალიან დიდი: 300-დან 1700-მდე მშვიდობიანი მოსახლე. გაერო-ს უშიშროების საბჭომ გამართა სპეციალური სხდომა, სადაც გადაწყდა ქიმიური იარაღის შესაძლოა გამოყენების უმოკლეს ვადებში დადგენა. გაერო-ს გენერალური მდივნის, პან გი მუნის სპერს სპიკერის სიტყვებით, გამოძიება უნდა ყოფილიყო საფუძვლიანი, მიუკერძოებელი და სწრაფი (Arms Control Association, 2019).

ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, 2013 წლის შემოდგომაზე ქარხნები, სადაც ქიმიური ნაერთების წარმოება ხდებოდა, განადგურდა. ვერ მოხერხდა მხოლოდ 2 ობიექტის შემოწმება, რადგან ძალიან საშიში იყო მათი მონახულება(Arms Control Association, 2019).

ამრიგად, სირიაში, ბაშარ ალ-ასადის მიერ განხორციელებული ძალადობა ოპოზიციური ძალების მიმართ, მოითხოვდა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებას და ქმედით

ნაბიჯებს. სირიაში ბაშალ ალ-ასადის ძალადობრივი რეჟიმი დღემდე გრძელდება და იგი სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის. ამ კონტექსტში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთის ჩართულობა და სამხედრო დახმარება სირიის მთავრობის მიმართ.

4.2 რუსეთის ფაქტორის სირიის კრიზისში

გარე აქტორებიდან რუსეთი ყველაზე აქტიურ დახმარებას სთავაზობდა ბაშარ ალ-ასადს. მიუხედავად რუსეთის ოფიციალური პოზიციისა, რომ უნდა აღდგენილიყო ძალთა ბალანსი დაპირისპირებულ მხარეებს შორის, იგი სირიის დიპლომატიური ფარი და იარაღით მომმარაგებელია. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი გაცილებით აქტიურად ქმნიდა გარემოს სირიაში, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები. გარდა სხვა, უფრო ხელშესახები მიზეზებისა, რუსეთს სირიაში გავლენა იმის დასამტკიცებლადაც სჭირდებოდა, რომ კიდევ ერთხელ დაუმტკიცოს მსოფლიოს მისი გლობალური ლიდერობა (CNN, 2016).

ბოლო პერიოდში, რუსეთის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის მიმართ იყო ე.წ. ,,საბჭოური'' მოდელის ანალოგი, რომლის ფარგლებშიც, იგი განიხილავდა რეგიონს სტრატეგიული და გეოპოლიტიკური პრიზმით, განსაკუთრებით კი, ამერიკის შეერთებულ შტატებთან მეტოქეობის ფაქტორს. ამ მოდელის მიხედვით, ეკონომიკური ინტერესები არის მეორე პლანზე, პოლიტიკურთან ინტერესებთან შედარებით. ,,საბჭოური'' მოდელი გულისხმობს გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევას ნებისმიერი ფინანსური დანახარჯის ფასად. ეს მიდგომა რადიკალურად განსხვავდება 1990-იან წლებში პრეზიდენტ ბორის ელცინის შეხედულებისგან, როდესაც ეკონომიკური მიზნები უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე გეოპოლიტიკური. ,,არაბულმა გაზაფხულმა'' და სირიის კრიზისმა ძლიერი იმპულსი მისცა რუსეთის აღნიშნულ ლოგიკას. მიუხედავად ამერიკის შეერთებულ შტატებთან ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის დაწყებას ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზების მიზნით,

რუსეთი სირიის კრიზისს განიხილავდა, როგორც ამერიკის მიერ ინსპირირებულ მოვლენას, რომელიც ხელს უშლიდა რეგიონში რუსეთის პოლიტიკას (Shumilin, 2014: 2). რუსეთი სირიის კრიზისში მხარს მმართველ ძალას, ბაშარ ალ-ასადს უჭერ და გამოდის ყველას წინააღმდეგ, ვინც მის გადადგომას მოითხოვს. რუსეთის დახმარება ბაშალ ალ-ასადის მიმართ შემთხვევითობა არ არის - რუსეთს სირიაში გეოსტრატეგიული და გეოეკონომიკური ინტერესები აქვს. მოსკოვი ხმელთაშუა ზღვაში რუსეთის ერთადერთი პორტის - ტარტუსის დაცვას ცდილობს. ტარტუსის პორტი საბჭოთა კავშირის დროიდან მოყოლებული შეინარჩუნა რუსეთმა და ამიტომ, მას სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. ტარტუსის ბაზის ფლობა რუსეთისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. იგი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, სპარსეთის ყურეში და ატლანტიკის ოკეანეში სამხედრო ხომალდების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია (CNN, 2016).

რუსეთი სირიის მოკავშირეა ახლო აღმოსავლეთში და, შესაბამისად, მისი ჩართულობა სირიის კრიზისში პოზიციების შემდგომ გამყარებას ეფუძნება. აღნიშნული ქმედებით რუსეთის ძალის დემონსტრირებას ცდილობს და მსოფლიოს აჩვენებს, რომ იგი საერთაშორისო სისტემის ანგარიშგასაწევი მოთამაშეა (CNN, 2016).

გარდა ამისა, რუსეთისათვის მნიშვნელოვანია ენერგორესურსების ბაზარი და დომინანტური როლის შენარჩუნება. რუსეთი საკუთარ ძვირადღირებულ სამხედრო კონტრაქტებსა და ენერგეტიკულ ინვესტიციებს იცავს, რომელიც შეიძლება დაკარგოს ასადის დამარცხების შეთხვევაში. 2011 წელს იარაღით ვაჭრობით მოსკოვმა, დაახლოებით, 20$ მილიარდის საინვესტიციო პროექტები განახორციელა. 2012 წელს რუსეთმა ხელი მოაწერა კონტრაქტს სირიასთან, რომლის პირობებითაც სირიას სამხედრო თვითმფრინავები მიყიდა. 550 მილიონიანი გარიგება 36 Yak-130 ტიპის თვითმფრინავების მიწოდებას ითვალისწინებდა. რუსეთის სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადს სრულ სამხედრო და დიპლომატიურ მხარდაჭერას უცხადებდა (Grove, 2013). ამავდროულად, ოფიციალური მოსკოვი მხარს არ უჭერდა გაერო-ს მიერ სირიისათვის იარაღზე ემბარგოს დაწესებას იმ მოტივით, რომ აღნიშნული ქმედებით დაპირისპირებული მხარეები იარაღს არალეგალური გზებით მოიძიებდნენ. (Grove & Solomon, 2012).

ამრიგად, რუსეთს რეგიონში მთელი რიგი სტრატეგიული ინტერესები ამოძრავებს: სამხედრო ბაზები, კავშირები ნავთობის მწარმოებლებთან, შეიარაღების სფეროში დადებული კონტრაქტები და დიპლომატიური გავლენა. რუსეთი ასადის რეჟიმს მხარს 2011 წლიდან უჭერდა. თავდაპირველად ეს გამოიხატებოდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებზე ვეტოს დადებით, სირიის ეკონომიკის დასახმარებლად ბანკნოტებს დაბეჭდვით, რასაც შემდგომ მოჰყვა იარაღის და სხვა საბრძოლო ტექნიკის მიყიდვა და, ასევე, სადაზვერვო საქმიანობის ხელშეწყობა. ვინაიდან რუსი სამხედროები სირიის არმიას ეხმარებოდნენ, ეს ნიშნავს, რომ ბაშარ ალ-ასადის მიერ საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენება რუსეთის უშუალო მონაწილეობით ან წაქეზებით დაიგეგმა (Pitzke, 2013).

4.3 აშშ-ის პასუხი რუსეთს - ობამას ადმინისტრაციის ჩაურევლობის პოლიტიკა

2011 წელს, სირის კრიზისის დაწყებისთანავე, ამერიკის შეერთებული შტატები ჩართული იყო დაპირისპირების დიპლომატიური გზებით მოგვარების მცდელობაში. დროის გასვლასთან ერთად, ნათელი გახდა, რომ მსხვერპლის რაოდენობა იზრდებოდა და ქმედითი ნაბიჯების გარეშე, ფაქტობრივად, წარმოუდგენელი იყო კრიზისის მოგვარება. მიუხედავად იმისა, რომ ყველა, მათ შორის ობამას ადმინისტრაცია ხედავდა, რამხელა იყო რუსეთის დახმარების როლი ბაშარ ალ-ასადისათვის, იგი მხოლოდ გაერო-ს რეზოლუციების მიღება-იმპლემენტაციას ანიჭებდა უპირატესობას. სირიაში სისხლისღვრის შესაჩერებლად მიღებულ რეზოლუციებს რუსეთი მუდმივად ბლოკავდა (CNN Library, 2019).

2012 წლის აგვისტოში ბარაკ ობამამ ბაშარ ალ-ასადი გააფრთხილა, არ გამოეყენებინა ქიმიური იარაღი, რომლის ქონასაც აღიარებდა სირიის მთავრობა, წინააღმდეგ შემთხვევაში აშშ სამხედრო ინტერვენციას განახორციელებდა სირიაში. ეს იყო ბარაკ

ობამას ადმინისტრაციის მიერ გავლებული ,,წითელი ხაზი'', რაც გულისხმობდა, რომ სირიის მიერ მისი გადაკვეთის შემთხვევაში, ამერიკის შეერთებული შტატები დაიწყებდა აქტიურ სამხედრო კამპანიას სირიაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ აშშ-ს მუქარამ ძალა დაკარგა (Strobel & Holland, 2013). სირიაში კი სცენარი სხვანაირად განვითარდა. 2013 წლის 13 ივნისს, ობამას ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ასადის ხელისუფლებამ გადაკვეთა ე.წ. ,,წითელი ხაზი'' და საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოიყენა ქიმიური იარაღი, კერძოდ, ზარინი. ამრიგად, ობამას ადმინისტრაციამ დაარღვია პირობა, რომლის მიხედვითაც ბაშალ ალ- ასადის მიერ ,,წითელი ხაზის'' გადაკვეთას და ქიმიური იარაღის გამოყენებას აპრიორი მოჰყვებოდა ამერიკის საპასუხო რეაქცია და სამხედრო ჩარევა. ეს იყო, ფაქტობრივად, პირველი შემთხვევა აშშ-ის ისტორიაში, როდესაც მსოფლიომ დაინახა, რომ ამერიკის პრეზიდენტის მიერ გავლებული ,,წითელი ხაზის'' გადაკვეთა დაუსჯელადაც შესაძლებელი გახდა. (Strobel & Holland, 2013).

ხელისუფლების მხრიდან ქიმიური იარაღის გამოყენების შესასწავლად, სირიაში გაერო-ს მისიის გამომძიებლები ჩავიდნენ. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე რთული მომენტი კრიზისის მიმდინარეობისას, როდესაც ანტი-სახელისუფლებლო პროტესტის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ დამასკოს გარეუბანში მათ წინაამდეგ ქიმიური იარაღის გამოყენებას მოჰყვა 1,300-ზე მეტი ადამიანის გარდაცვალება, რომელთა შორის უმეტესობა ქალი და ბავშვი იყო. საერთაშორისო ორგანიზაციის ,,ექიმების საზღვრების გარეშე'' ცნობით, 21 აგვისტოს, ქიმიური იარაღის გამოყენების შედეგად გარდაიცვალა 355 ადამიანი, ხოლო დამასკოს მიმდებარე 3 საავადმყოფოში 3,000-ზე მეტი ადამიანი მიიყვანეს (CNN Library, 2019).

ქიმიური იარაღის გავრცელების სადამკვირვებლო საერთაშორისო ორგანიზაციამ დაამტკიცა სირიის მიერ ქიმიური იარაღის განადგურების გეგმა. სწორედ ამას ეყრდნობოდა ბარაკ ობამა, როდესაც აცხადებდა, რომ სირიის მთავრობა თანახმა იყო ე.წ. ,,რუსულ გეგმაზე'', რაც გულისხმობდა აღნიშნული არსენალის ქვეყნის გარეთ გატანას. მანამდე კი, ამერიკა არ მიმართავდა ღია აგრესიას სირიაში (CNN Library, 2019).

სირიასთან დაკავშირებით ბარაკ ობამას ადმინისტრაციის შეფასებები იყო საკმაოდ უარყოფითი, რადგან ნათელი იყო რომ დიპლომატიური მეთოდებით კრიზისი

მოგვარება შეუძლებელი გახდა. ,,რესპუბლიკელმა'' სენატორებმა ჯონ მაკკეინმა და ლინდსი გრეჰემმა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე განაცხადეს, რომ ჯონ კერიმ დაუფარავად აღიარა ამერიკული კრახი სირიაში, რომ რუსეთმა გააძლიერა სირიის იარაღით მომარაგება და არც ქიმიური ნაერთების საჭირო რაოდენობის ქვეყნიდან გატანა ხერხდებოდა დროულად (Rogin, 2014)ats.

ჯორჯ ბუში უფროსის სახელობის საჯარო მართვის სკოლის პროფესორი, ენდრიუ ნაციოსი, თვლის, რომ ე.წ. ,,რუსული გეგმის'' მხარდაჭერით ამერიკამ დათმო მოვლენების ეპიცენტრში ყოფნა და მართვის სადავეები სრულიად გადასცა რუსეთს. ეს მიდგომა კი, საერთოდ არ შედიოდა აშშ-ის ეროვნულ ინტერესებში. ამით, შეიძლება ითქვას, რომ გზა გაეხსნა რუსეთს, ემოქმედა სურვილისამებრ და ამერიკა დაეტოვება თამაშგარეთ. საჭირო იყო კრიზისის არა მხოლოდ დიპლომატიური, არამედ სამხედრო გადაწყვეტაც (Natsios, 2013).

ექსპერტი არონ ლუნდი ობამას მიერ სირიაში გავლებულ ,,წითელ ხაზს'' რუსეთისათვის ანთებულ ,,მწვანე შუქს'' უწოდებს, რადგან აშშ-ის დანაპირების შეუსრულებლობამ წაახალისა რუსეთი, უფრო აქტიურად დაეჭირა მხარი ასადის რეჟიმისათვის. ეს კი არანაირად არ უნდა ყოფილიყო ამერიკის ეროვნულ ინტერესებში, პირიქით, სირიაში .,,წითელი ხაზის'' დარღვევის უპასუხოდ დატოვებამ აშშ-ის საერთაშორისო იმიჯი მკვეთრად დააზიანა. არონ ლუნდი იშველიებს აშშ-ის ყოფილი თავდაცვის მდივნის, ლეონ პანეტას სიტყვებს, რომ ბარაკ ობამას მიერ დასახული ,,წითელი ხაზი'' და მისი გადაკვეთის შემდეგ უმოქმედობა იყო ორაზროვანი გზავნილი არა მხოლოდ სირიისა და ასადის, არამედ მთელი მსოფლიოს მიმართ (Lund, 2017).

,,წითელი ხაზის'' მხოლოდ დეკლარირებულმა დასახვამ, რომელსაც დარღვევის შემდეგ აშშ-ის მხრიდან არ მოჰყვა აქტიური ჩარევა, შეარყია ამერიკის, როგორც სანდო ქვეყნის სტატუსი. ამ ფაქტით კარგად ისარგებლა რუსეთმა, რომელმაც გააძლიერა თავისი პოზიციები სირიაში. დაინახა რა რუსეთმა, რომ აშშ-ის ,,წითელი ხაზის'' დარღვევა დაუსჯელადაც შესაძლებელი გახდა, მან გაზარდა თავისი სამხედრო წარმომადგენლობა სირიაში და, ასევე, აქტიურად ლობირებდა ასადს საერთაშორისო მოლაპარაკებებში, მაგალითად, ჟენევაში, გაერო-ს შუამავლობით მოწყობილ მოლაპარაკებათა რაუნდებზე, რომლის მიხედვითაც ქვეყნიდან ქიმიური იარაღი

,,რუსული გეგმის'' მიხედვით უნდა გაეტანათ. სირიაში კი მდგომარეობა დღითიდღე იძაბებოდა და საგარეო დახმარების გარეშე, სირიის მოსახლეობა, ფაქტობრივად, ასადის რეჟიმის მსხვერპლი ხდებოდა (Titus, 2018).

ასადის რეჟიმის მიერ, რომლის მოკავშირეც იყო რუსეთი, ,,წითელი ხაზის'' დაუსჯელად გადაკვეთამ წამყვანი მოთამაშის სტატუსი ჩამოართვა აშშ-ს და შეიქმნა დღის წესრიგი, სადაც რუსეთს დომინანტური როლი ეკავა და თავისუფლად შეეძლო დახმარებოდა სირიას. ეს ნიშნავს, რომ ის გეოპოლიტიკური ვაკუუმი, რომელიც შეიქმნა რეგიონში, რუსეთმა დაიკავა. შესაბამისად, რუსეთმა გააძლიერა სამხედრო და დიპლომატიური გზებით ასადის მხარდაჭერა და მისი ჩართულობა გაიზარდა. რუსეთის უსაფრთხოების პერსპექტივიდან, ლატაკიასა და ტარტუსზე საავიაციო ბაზების განლაგება და კონტროლი რუსეთის სამხედრო წარმატების ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია (Kainikara, 2018: 124).

ასადის რეჟიმის სტაბილიზაციის გარდა, რუსეთს ჰქონდა მიზანი, ამერიკასთან ერთად შეემუშავებინა საერთო მიდგომა კრიზისის მოსაგვარებლად. ეს ყველაფერი კი იმის ფონზე, რომ აშშ, ისევე როგორც მთელი ცივილიზებული მსოფლიო ხედავდა, თუ როგორ ზრდიდა რუსეთი თავის სამხედრო ჩართულობა სირიაში. ამერიკის მხრიდან უპასუხობამ რუსეთის მიზნები კიდევ უფრო მასშტაბური გახადა (Kainikara, 2018: 125). ბარაკ ობამას ადმინისტრაციის გულგრილობამ ,,წითელი ხაზის'' გადაკვეთისა და ქიმიური იარაღის გამოყენების მიმართ გამოიწვია რუსეთის ძალადობრივი პოლიტიკის შემდგომი გაძლიერება, რომელმაც ევროპამდე მიაღწია (Ahmad, 2016).

იმის იმედით, რომ აშშ კვლავ განაგრძობდა ჩაურევლობის პოლიტიკას, რუსეთმა 2013 წლიდან კიდევ უფრო გააძლიერა თავისი ჩართულობა სირიის კონფლიქტში. თუ მანამდე, 2011 წლიდან მოყოლებული, სირიას, ძირითადად, სამხედრო აღჭურვილობით ეხმარებოდა, ,,წითელი ხაზის'' გადაკვეთის შემდეგ, რუსეთმა აქტიური ლობირება დაიწყო, არანაკლებ მნიშვნელოვან, დიპლომატიურ ფრონტზეც. ვლადიმერ პუტინი მხარს უჭერდა ბაშარ ალ-ასადს განცხადებაში, რომ ამბოხებულები პასუხისმგებელი იყვნენ ქიმიურ შეტევაზე, რომლის შედეგადაც 1, 400 ადამიანი დაუღუპა. ამასთან, რუსეთი აფრთხილებდა აშშ-ს, რომ არ განეხორციელებინა სირიაში ინტერვენცია გაერო-ს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით, რადგან ეს ჩაითვლებოდა აგრესიად. ეს

ყველაფერი კი ხდებოდა იმის ფონზე, რომ სირიაში სიტუაცია დღითიდღე უარესდებოდა და მოსახლეობა ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე იდგა (Benammar, 2013).

სირიის კრიზისთან დაკავშირებით, დასკვნის სახით უნდა ითქვას შემდეგი: ამ ყველაფრის შედეგი კი იყო ის, რომ განიარაღების გადაწყვეტილებით, სირიის ხელისუფლებამ უბრალოდ დრო მოიგო, შეაჩერა ინტერვენციის შესაძლო სცენარი. ამ მდგომარეობაში, ყველა ელოდა, რომ ბარაკ ობამას ადმინსტრაცია მკაფიო გეგმას მოამზადებდა სირიაში სამხედრო ინტერვენციისათვის, მაგრამ აშშ-მ სირიის კრიზისში ჩაურევლობის პოლიტიკა აირჩია. კიდევ ერთხელ გახდა ნათელი ობამას ადმინისტრაციის მისწრაფება პრობლემების მოლაპარაკებების გზით მოგვარებისაკენ და მთელ მსოფლიოს აჩვენა დათმობითი პოლიტიკა. დაუსჯელობის სინდრომი ყველაზე მეტად რუსეთის ფედერაციამ მოარგო საკუთარ ინტერესებს და ,,გადატვირთვის'' პოლიტიკა ჩიხში შეიყვანა, რადგან იგი კვლავ აქტიურად აგრძელებდა ბაშარ ალ-ასადის ძალადობრივ რეჟიმის მხარდაჭერას. ეს დათმობითი პოლიტიკა იყო პირდაპირი გზავნილი რუსეთისათვის, რომელმაც განაგრძო ასადის რეჟიმის მხარდაჭერა. როგორც ჩანს, რუსეთის დახმარება ბაშარ ალ-ასადის მიმართ მიზნად ისახავდა მოსკოვის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გამყარებას, რისთვისაც იგი უარს არ ამბობდა პოლიტიკურად და მორალურად გაუმართლებელ ქმედებებზე, რაც, ბუნებრივია, სცდებოდა აშშ-ის მიზანს - ,,გადატვირთვის'' პოლიტიკით რუსეთის დემოკრატიულ აქტორად ქცევას და მასთან თანამშრომლობის გაღრმავებას. ობამას ადმინისტრაციის სირიული ფიასკო კი რუსეთის ფედერაციას აძლევდა ხელს. მას შემდეგ, რაც ბარაკ ობამას ადმინისტრაცია ,,ჩაურევლობის'' პოლიტიკით, შეიძლება ითქვას, რომ განერიდა სირიის კრიზისს, მოსკოვმა ეს აშშ-ის მხრიდან დათმობად მიიღო და გადაწყვიტა, საკუთარ ხელში აეღო ინიციატივა. სირიის კრიზისის დროს ამერიკის პოლიტიკა გახდა ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის წარუმატებლობის ერთი-ერთი მკაფიო მიზეზი და დაუსჯელობის სინდრომმა კიდევ უფრო აგრესიული გახადა რუსეთი საერთაშორისო სისტემაში.

5. რუსეთ-უკრაინის ომი

5.1 რუსეთ-უკრაინის ომის დასაწყისი და შემდგომი განვითარება

სირიის კრიზისის დროს ამერიკის ჩაურევლობის პოლიტიკამ და დაუსჯელობის სინდრომმა რუსეთს ხელ-ფეხი გაუხსნა და უფრო აგრესიულ ქმედებებს მიმართლა საკუთარი ინტერესების გასამყარებლად. აშშ-ის დათმობითი პოლიტიკის კულმინაციად და ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის დასასრულის დასაწყისად სწორედ რუსეთ-უკრაინის ომი მოიაზრება. შედეგად, 2013-2014 წლებში უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. 2013 წლის ნოემბერში უკრაინას ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება უნდა გაეფორმებინა, რაც უკრაინისათვის როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური შესაძლებლობების გარანტი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის, ვიქტორ იანუკოვიჩის გადაწყვეტილებით, ასოცირების შესახებ შეთანხმება, საბოლოოდ, არ შედგა. ამის მიზეზად მოიაზრებოდა რუსეთის მუქარა, რომელიც სავაჭრო სანქციების და ბუნებრივი აირის ფასის მკვეთრ ზრდას გულისხმობდა (Ramicone et al, 2014: 4).

აღნიშნულმა გადაწვეტილებამ, კიევში, ისევე როგროც უკრაინის სხვადასხვა ქალაქში, პროტესტის ტალღა ააგორა. ევროკავშირთან დაახლოების მოტივით დაწყებული აქციების მთავარი მოთხოვნა მალე მთავრობის გადადგომა გახდა. უკრაინის პოლიციის მხრიდან დაფიქსირდა მომიტინგეთა დაპატიმრება, დაჭრა და ფიზიკური ძალადობა. 30 ნოემბერს მეიდანზე შეკრებილი ახალგაზრდები სპეცრაზმელებმა დაარბიეს, რამაც მასობრივ პროტესტს კიდევ უფრო დიდი ძალა შემატა (Ramicone et al, 2014: 4).

2014 წლის იანვარში უკრაინის პრემიერმინისტრი, ნიკოლაი აზაროვი და მისი კაბინეტის ბევრი წევრი, თანამდებობიდან გადადგნენ. ფიქრობდნენ, რომ ეს ცვლილება დაპირისპირების მშვიდობიანი გადაჭრისათვის დამატებითი შესაძლებლობა შეიძლება გამხდარიყო. იგეგმებოდა, ასევე, პარლამენტის დათხოვნა, თუ მომიტინგეები შეწყვეტდნენ აქციებს. იმავდროულად, იანუკოვიჩი ცდილობდა სიტუაციის დეესკალაციას და ოპოზიციის ლიდერებს კომპრომისებს სთავაზობდა. 14-16

თებერვალს, მის ბრძანებით, გაათავისუფლეს აქციის ყველა მონაწილე, ვინც კი დეკემბრის შემდეგ დაიჭირეს, თუმცა მშვიდობიანი პერიოდი დიდხანს არ გაგრძელდა. აღნიშნული გადაწყვეტილებიდან 48 საათში დაიწყო შეტაკებები პოლიციასა და აქციის მონაწილეებს შორის, რომლის დროსაც 88 ადამიანი გარდაიცვალა. პროტესტის ტალღა, როგორც ჩანს არათუ ნელდებოდა, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო აქტიურდებოდა. საბოლოოდ, ვიქტორ იანუკოვიჩის მთავრობა გადააყენეს, ხელისუფლების სადავეები კი პროდასავლურმა ოპოზიციურმა ძალებმა დაიკავეს. უკრაინის რადამ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად ალექსანდრე ტურჩინოვი აირჩია (Ramicone et al, 2014: 4).

5.2 რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გაძლიერება უკრაინაში

უკრაინის ახალი ხელისუფლების არჩევის შემდეგ, დაიწყო კრიზისის შემდგომი ეტაპი, როდესაც რუსეთი უფრო აქტიურად ჩაერია უკრაინის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ყირიმის ნახევარკუნძულზე რუსეთის ჯარები 27 თებერვალს შევიდნენ და დაიკავეს აეროპორტები, ბაზები და ადმინისტრაციული შენობები. არეულობის დაწყებისთანავე, რუსეთის პარლამენტმა დაამტკიცა პუტინის მოთხოვნა, ძალის გამოყენებით დაეცვა რუსეთის ინტერესები ყირიმში. უკრაინის დროებითი მთავრობის მტკიცებით, რუსეთმა არაოფიციალურად დაიწყო ომი მათ წინააღმდეგ (Ramicone et al, 2014: 6).

16 მარტს, სეპარატისტების ორგანიზებით ყირიმში რეფერენდუმი ჩატარდა. ხმის მიმცემთა 97% თანახმა იყო, ყირიმის ნახევარკუნძული რუსეთის შემადგენლობაში შესულიყო. რეფერენდუმის შედეგები ლეგიტიმურად არ ცნო საერთაშორისო საზოგადოებამ, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. მიუხედავად ამისა, არაღიარებამ ხელი არ შეუშალა ვლადიმერ პუტინს, რეფერენდუმი გამოეყენებინა სამართლებრივი საფუძვლებისთვის. 2014 წლის 18 მარტს კი ანექსირებული ყირიმის ნახევარკუნძული დე ფაქტოდ შევიდა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში როგორც ყირიმის ფედერალური ოლქი, რომელიც ორი ერთეულისგან - ყირიმის რესპუბლიკის და ქალაქი სევასტოპოლისგან შედგება. (Ramicone et al, 2014: 6).

ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიის შემდეგ, რუსეთმა უკრაინის სხვა რეგიონებშიც დაიწყო არეულობის ინსპირაცია და მისი შემდგომი სამიზნე აღმოსავლეთ უკრაინა გახდა, რადგან ამ რეგიონს ყირიმთან ბევრი საერთო მახასიათებელი აქვს. აღმოსავლეთ უკრაინის ზოგიერთი ნაწილში, მოსახლეობის 75% რუსულად ლაპარაკობს, როგორც მშობლიურ ენაზე. გარდა ამისა, აღმოსავლეთ უკრაინის დიდი ნაწილი ხმას პოლიტიკურად კონსერვატიულ და პრო-რუსულ კანდიდატებს აძლევდა არჩევნებში, ზოგიერთ რეგიონში ეს მონაცემი ხშირად 70%-ზე მეტს უდრიდა. ასევე, ყირიმის მსგავსად აღმოავლეთ უკრაინაც გეოგრაფიულად ადვილად ხელმისაწვდომია რუსეთისთვის. პრორუსმა სეპარატისტებმა დამოუკიდებლობის მოთხოვნით დონეცკში, ლუგანსკსა და ხარკოვში სამთავრობო შენობები დაიკავეს. არალეგიტიმურ რეფერენდუმზე დაყრდნობით, დონეცკსა და ლუგანსკში დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. უკრაინის ხელისუფლებამ კი აღმოსავლეთ უკრაინაში ანტი-ტერორისტული ოპერაცია დაიწყო, რასაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღმოსავლეთ უკრაინაში არეულობის ინსპირატორი რუსეთის ფედერაციაა, რომელიც დახმარებას უწევდა პრო-რუსულ სამხედროებს. ზოგიერთი სამხედრო ტექნიკა უშუალოდ რუსეთის დროშით იყო აღჭურვილი (Ramicone et al, 2014: 6-7).

ოფიციალურ ინფორმაციებზე დაყრდნობით, არსებობდა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდა რუსეთის მირ სეპარატისტებისათვის იარაღითა და სამხედრო ძალით დახმარებას. ნატო-ს ძალების უმაღლესი მთავარსარდლის, გენერალ ფილიპ ბრიდლოვის თქმით, რუსეთის ჯარი, ტანკები და არტილერია ფიქსირდებოდა აღმოსავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე (The Guardian, 2014).

5.3 აშშ-ის პასუხი რუსეთის ქმედებებზე - ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის დასასრულის დასაწყისი

რუსეთის ფედერაციამ ყირიმის ანექსიით კიდევ ერთხელ გააკვირვა საერთაშორისო საზოგადოება მის მიერ სამართლის ფუნდამენტური პრინციპების უხეში დარღვევით.

სირიის კრიზისის მსგავსად, ბარაკ ობამას ადმინისტრაციის დამოკიდებულება რუსეთის მიმართ აღნიშნული ფაქტის შემდეგ არ იყო საკმარისად მომთხოვნი, რათა შეესუსტებინა მისი აგრესიული ქცევები. პირიქით, დათმობითი პოლიტიკის შედეგად, რუსეთი არ დასჯერდა მხოლოდ ყირიმის ანექსიას და აღმოსავლეთ უკრაინაშიც დაიწყო დაპირისპირების კერების გაჩენა.

19 თებერვალს მექსიკაში გამართულ კონფერენციაზე ბარაკ ობამამ პირველად გააკეთა კომენტარი უკრაინაში მიმდინარე არეულობის შესახებ და გააფრთხილა ქვეყნის ლიდერები, არ გამოეყენებინათ ძალა მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ. მისი თქმით, ამერიკის შეერთებულ შტატებს არ აქვს სურვილი, ცივი ომის სცენარის განმეორების, სადაც ამერიკა და რუსეთი დაპირისპირებული მხარეები არიან. ,,ჩვენი მიზანია დავრწმუნდეთ, რომ უკრაინას შეუძლია თავად მიიღოს გადაწყვეტილება მათი მომავლის შესახებ'' - განაცხადა ბარაკ ობამამ (Woehrel, 2014: 10).

21 თებერვალს, ობამამ ტელეფონით ესაუბრა ვლადიმერ პუტინს, რათა განეხილათ უკრაინაში მიმდინარე მოვლენები და გამოსავლამდე მისულიყვნენ. ნათელია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდა, დათმობის გზით დაეყოლიებინა რუსეთი, უარი ეთქვა მოვლენების შემდგომ ესკალაციაზე უკრაინაში (Woehrel, 2014: 10). ბარაკ ობამას ადმინისტრაციის რეაქცია იანუკოვიჩის მთავრობის დაშლაზე იყო საკმაოდ ფრთხილი. 22 თებერვალს თეთრი სახლის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში აღნიშნული იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად იყო ეთანამშრომლა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და რუსეთთან ძლიერი, წარმატებული და ერთიანი უკრაინის მხარდასაჭერად. ადმინისტრაციის წევრებმა განაცხადეს, რომ აქტიურად მუშაობდნენ უკრაინის ახალ მთავრობასთან და მასთან ერთად საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, რათა მოკლე ვადაში გამოეყოთ უკრაინისათვის ფინანსები, გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. საერთაშორისო სავალუტო ფონდი გამოყოფდა 15 მილიარდ აშშ დოლარს უკრაინისათვის (Woehrel, 2014: 10).

ამერიკის შეერთებული შტატები, ასევე, სთავაზობდა უკრაინის ახალ ხელისუფლებას სხვადასხვა სექტორში დახმარებას, რაც საშუალებას მისცემა წინა რეჟიმის დროს კორუფციის მაღალი მაჩვენებლების აღმოფხვრას. ამასთან, აშშ ჰპირდებოდა უკრაინას,

რომ დაეხმარებოდა 2014 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მშვიდ და სამართლიან გარემოში ჩატარებას (Woehrel, 2014: 10-11).

რაც შეეხება უშუალოდ ყირიმის ანექსიის შემდეგ ამერიკის რეაქციას, მან დაგმო რუსეთის აგრესიული ქცევები, თუმცა ამას ხელი არ შეუძლია რუსეთისათვის, ბოლომდე მიეყვანა საკუთარი ზრახვები. პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ ,,მსოფლიო დიდ წილად ერთიანია იმის აღიარებაზე, რომ რუსეთმა დაარღვია უკრაინის სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და საერთაშორისო სამართლის ნორმები''. კონგრესში მიმდინარე დებატების საპასუხოდ ამერიკის უფრო აქტიური ჩართვის შესახებ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში, ობამამ განაცხადა, რომ ერთადერთი, რისი გაკეთებაც მათ იმ მომენტში შეეძლოთ, იყო დახმარება უკრაინის მოქმედი ადმინისტრაციისათვის (Woehrel, 2014: 11).

უკრაინის პრემიერ-მინისტრმა იაცენუკმა მოუწოდა 1994 წელს ბუდაპეშტის მემორიალის ხელმომწერ მხარეებს, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებს, დაეცვათ უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობა. მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები არიან რუსეთი, აშშ და დიდი ბრიტანეთი. იგი საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც უკრაინა დათანხმდა საბჭოთა ბირთვული იარაღის მის ტერიტორიაზე განლაგებას. სხვა დებულებებთან ერთად, ხელშეკრულების მხარეები ვალდებულებას იღებდნენ, რომ არ დაარღვევდნენ უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას და არცერთ ტყვიას არ ისვროდნენ უკრაინის წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავდაცვის მდგომარეობაში იქნებოდნენ (Woehrel, 2014: 11).

თავის ოფიციალურ გამოსვლებში, ბარაკ ობამა აღნიშნავდა, რომ რუსეთს ძალიან ძვირად დაუჯდებოდა თუ უკრაინაში არ შეწყვეტდა აგრესიულ ქმედებებს. აშშ-ის ადმინისტრაცია გადაწყვიტა, რომ არ მიეღო მონაწილეობა 2014 წლის ივნისში სოჭში დაგეგმილ დიდი რვიანის სამიტზე. აგრეთვე, ობამამ დღის წესრიგში დააყენე რუსეთთან სამხედრო და ეკონომიკურ საკითხებზე სამომავლო კავშირების შესახებ მოლაპარაკებები (Woehrel, 2014: 11).

ამის შემდე, ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ მიმართა სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ, რომლის რაოდენობა და სახეობები დროთა განმავლობაში იცვლებოდა. 2014 წლის

მარტში გამოქვეყნებული სამი აღმასრულებელი ორდენით, სანქციების არასრული სია ასე გამოიყურებოდა:

- სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ზოგიერთი რუსული ბანკისა და კომპანიებისათვის ფინანსური აქტივების გაყიდვა. ასევე, სანქციების თანახმად, იკრძალებოდა მათთან ფინანსური ურთიერთობები;
- ნავთობის მოსაპოვებლად აუცილებელ ტექნოლოგიებზე რუსეთისათვის მიყიდვაზე ემბარგო;
- ვლადიმერ პუტინთან უშუალოდ დაახლოებული პირების საქმიანობის აკრძალვა და ფინანსური აქტივების გაყიდვა (Aleksashenko, 2016: 2).

მეორ რაუნდის სანქციების ფარგლებში, აშშ ევროკავშირთან ერთად მოქმედებდა და დაბლოკეს 17 რუსული კომპანიის ტრანზაქციები საკუთარ ტერიტორიაზე და, აგრეთვე, კიდევ უფრო მეტად გააფართოვეს პერსონალური სანქციები ვლადიმერ პუტინთან დაახლოებული პირების მიმართ (Aleksashenko, 2016: 2).

რაც შეეხება სანქციების მესამე აღმასრულებელ ორდენს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აკრძალა ორი დიდი რუსული კომპანიის (,,როსნეფტი'' და ,,ნოვატეკი'') და მასთან ერთად ორი მსხვილი ბანკის (,,გაზპრომბანკი'' და ,,ვნეშეკონომბანკის'') ეკონომიკური ტრანზაქციები თავის ტერიტორიაზე (Aleksashenko, 2016: 2).

სანქციების დაწესების პარალელურად, კონგრესის წევრებისათვის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად რჩებოდა ის საკითხი, თუ როგორ უნდა ეპასუხა აშშ-ს სათანადოდ რუსეთისათვის. ამ შემთხვევაში, ყველაზე ეფექტური იქნებოდა, ამერიკის და მის ევროპელი მოკავშირეების მიერ რუსეთის შეჩერება ყირიმთან, რაღა მას არ გაეგრძელებინა აგრესია აღმოსავლეთ უკრაინაში. აშშ-ს და ნატო-ს წევრ ქვეყნებს არ უნდა ეთქვათ უარი სამხედრო საშუალებებით სუვერენული ქვეყნის ტერიტორიის დაცვაზე. მიუხედავად ამისა, სანქციები იყო ობამას ადმინისტრაციის მთავარი ინსტრუმენტი, რითაც აპირებდა რუსეთის დაშოშმინებას. მართლაც, ყირიმის ანექსიამდე, აშშ-ში სჯეროდათ, რომ რუსეთი არ გადადგამდა ასეთ ნაბიჯს, იმის შიშით რომ რუსეთის ელიტა დაკარგავდა აქტივებს დასავლეთში (Woehrel, 2014: 14-15).

ობამას ადმინისტრაციისათვის ნათელი გახდა, რომ სანქციებმა ვერ შეასრულა შემაკავებელი ეფექტი. აშშ-ის მიერ რუსეთისათვის დაწესებული სანქციების

შესაფასებლად, უპირველეს ყოვლისა, ჩნდება კითხვა სანქციები საგარეო პოლიტიკის რამდენად ძლიერი იარაღია და შეუძლია თუ არა მას ქვეყნის საგარეო ვექტორის ცვლილება. ნიშანდობლივია, რომ როდესაც რუსეთის მსგავს ქვეყანაზე ვსაუბრობთ, გასათვალისწინებელია სანქცირებული ქვეყნის სიდიდე და წონა საერთაშორისო სისტემაში. იმ ტიპისა და ზომის სანქციები, რომელიც აშშ-მ დაუწესა რუსეთს, არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ შეესუსტებინა მისი აგრესიული ქცევები და უარი ეთქვა ძალისმიერ პოლიტიკა (Tolksdorf, 2017: 2).

კიდევ ერთი საკითხი, რასაც რუსეთთან ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის ოპონენტები განიხილავდნენ, იყო უკრაინაში რუსეთის აგრესიული ქმედებების დაწებისთანავე ამერიკის მიერ მისთვის სამხედრო დახმარების აღმოჩენა და რუსეთთან არა მოლაპარაკების და დათმობის გზით, არამედ მკაცრი ქმედებებით საკითხის გადაჭრა. მათი აზრით, ამერიკის შეერთებული შტატები არ უნდა შეშინებოდა რუსეთთან პირისპირ დარჩენას და მოეგერიებინა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართული აგრესია. ასეთი, და არა დათმობითი პოლიტიკით, შეძლებდა აშშ პუტინის შეჩერებას და აღარ განაგრძობდა იგი დესტაბილიზაციას აღმოსავლეთ უკრაინაში. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ აშშ-რუსეთის თანამშრომლობითი პოლიტიკა ზოგიერთ საკითხში, მათ შორის ავღანეთთან დაკავშირებით, დასრულდებოდა (Woehrel, 2014: 15).

ჯორჯ მეისონის პოლიტიკის მეცნიერებების პროფესორის, მარკ კატზის აზრით, სწორედ უკრაინის შემთხვევა გახდა ბოლო წვეთი ამერიკისათვის, რომ მიმხვდარიყო რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების პერსპექტივის არარსებობაზე და ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის შეჩერებაზე. შედეგად, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ, ფაქტობრივად, დააჩქარა ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის დასასრული და თეთრ სახლში მისული ბარაკ ობამას სურვილი, რომ ორ ქვეყანას შორის საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ურთიერთობები გაუმჯობესებულიყო, წარუმატებლად დასრულდა. ყირიმი, რა თქმა უნდა, არ იყო ერთადერთი საკითხი, რაზეც ოფიციალური ვაშინგტონი და მოსკოვი ვერ თანხმდებოდნენ, მაგრამ ამ ქმედებებმა დაანახა ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ რუსეთს შეიძლება სხვა ქვეყნების მიმართაც გაემეორებინა მსგავსი სცენარი. რუსეთის, როგორც

ექსპანსიონისტური საგარეო პოლიტიკის ქვეყნის იმიჯი ნათელი გახდა. ამას დამატებული, უკვე არსებული განსხვავებული შეხედულებები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის, მაგალითად, სირიის კრიზისის დრო, იძლევა ვარაუდის საშუალებას, რომ ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის შემდეგ, აშშ-რუსეთი ახალ ცივ ომამდე შეიძლება მისულიყვნენ (Katz, 2014: 129).

ამასთან, მარკ კატზი ფიქრობს, რომ ობამას ადმინისტრაციის თავდაპირველი სურვილი, გაეუმჯობესებინა ურთიერთობები რუსეთთან, რისთვისაც მან ,,გადატვირთვის'' პოლიტიკას დაუდო სათავე, სრულიად ლოგიკურია. მეტიც, ცივი ომის დასრულების შემდეგ რუსეთის ფაქტორი აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის დომინირებდა. აღნიშნული მოსაზრება კი ემყარებოდა იმედს, რომ აშშ-რუსეთს შორის არის საკითხები, რომლებიც ორივე ქვეყნისათვის თანაბრად მნიშვნელოვანია. სწორედ ამაზე უნდა დაფუძნებულიყო მათ შორის თანამშრომლობა. თუმცა, ობამას ადმინისტრაცია შეცდა, როდესაც ფიქრობდა, რომ ,,გადატვირთვის'' პოლიტიკა ორმხრივ დათმობებს დაეფუძნებოდა. რუსეთი არ აპირებდა პოზიტიური ძვრების განხორციელებას მის საგარეო პოლიტიკაში მხოლოდ იმიტომ, რომ ობამას ადმინისტრაციას ჰქონდა ამის სურვილი. ერთადერთი, რისი გაკეთებაც ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეძლო არის საფუძვლიანობის მოკლება რუსეთის შესაძლებლობაზე, რომელიც არწმუნებდა რუსულ ელიტას, რომ ავტორიტარიზმი და ექსპანსიონიზმი არის სასარგებლო რუსეთისათვის (Katz, 2014: 140).

ავტორის აზრით, თუ დავუშვებთ მაინც იმის შესაძლებლობას, რომ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდეგ ,,გადატვირთვის'' პოლიტიკა კვლავ გაგრძელდებოდა, მისი სამომავლო წარმატების შანსი, ცალსახად, აღარ არსებობდა. სინამდვილეში, პუტინი, როგორც ჩანს, ბარაკ ობამას ადმინისტრაციის ,,გადატვირთვის'' პოლიტიკას მიიჩნევდა აშშ-ს მცდელობად, შეერყია რუსეთის რეჟიმის მთლიანობა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, პუტინს შეიძლება ერჩივნა, რომ აშშ-რუსეთის ურთიერთობები ყოფილიყო არა მეგობრული, არამედ დაძაბული, რაც შეამცირებდა რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე ამერიკის გავლენას (Katz, 2014: 136).

ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის მკვლევარს, ჯეფრი გედმინს მიაჩნია, რომ ყირიმის ანექსიის შემდეგ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და რუსეთის ფედერაციამ ხელახლა

უნდა გადატვირთონ ,,გადატვირთვის'' პოლიტიკა, რადგან იგი ვეღარ ფუნქციონირებდა. რუსეთის აგრესიულ საგარეო პოლიტიკაზე დაკვირვებით, ავტორი ასკვნის, რომ ამერიკის მმართველ წრეებში შეიქმნა ილუზია იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის არადემოკრატიულ ქმედებებზე თვალების დახუჭვით და არასათანადო პასუხით, აშშ-რუსეთი ითანამშრომლებდნენ მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებში. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდეგ კი ნათელი გახდა, რომ რუსეთი მხოლოდ მაშინ ითანამშრომლებდა ამერიკასთან, როდესაც ამის სურვილი მხოლოდ მის ინტერესებში იქნებოდა. გედმინი მოუწოდებდა ამერიკის შეერთებულ შტატებს უფრო აქტიური ქმედებებისკენ უკრაინაში, რათა არ დაუშვას რუსეთის შემდგომი აგრესია სხვა ქვეყნების მიმართ (Gedmin, 2014: 13-16).

აშშ-ის რეაქციას რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ კონგრესშიც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, რომლებიც თვლიდნენ, რომ მხოლოდ ეკონომიკური სანქციების დაწესება ვერ შეაჩერებდა რუსეთს და საჭირო იყო უფრო ხისტი პოლიტიკის გატარება. მიუხედავად იმისა, რომ სანქციებმა რუსეთის ეკონომიკაზე მკვეთრად უარყოფითად იმოქმედა, იგი არ იყო იმდენად ძლიერი, რომ უარი ეთქვა აგრესიულ საგარეო პოლიტიკაზე. ობამას პოლიტიკის მკაცრი კრიტიკოსი, სენატორი ჯონ მაკკეინი ფიქრობდა, რომ აშშ-ის პოზიცია იყო რბილი რუსეთის მიმართ და მას ჯარები უნდა გაეგზავნა უკრაინაში სიტუაციის სტაბილიზებისთვის. თუმცა, ბარაკ ობამა უკრაინის კონფლიქტს სხვა განზომილებიდან უყურებდა. როგოც ჯეფრი გოლდბერგი წერდა ,,ობამას დოქტრინაში'': ,,ობამას თეორია მარტივია, უკრაინა არის რუსეთის ინტერესის სფერო და იგი ყოველთვის ეცდება, რომ დომინანტური პოზიცია დაიკავოს უკრაინაში''. ბარკა ობამას თქმით, უკრაინა, როგორც ნატო-ს არაწევრი ქვეყანა, რუსეთის სამხედრო აგრესიისგან დაუცველი იყო (Calamur, 2017).

ამრიგად, როდესაც პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ რუსეთს უკრაინაში ინტერვენცია ძვირად დაუჯდებოდა, საპასუხოდ რუსეთმა კიდევ უფრო გააძლიერა აგრესიული ქმედებები უკრაინაში. პუტინი, ალბათ, ფიქრობდა, რომ ისევე როგორც სირიაში ,,წითელი ხაზის'' გადაკვეთას არ მოჰყვა ამერიკის მხრიდან რეაქცია, ანალოგიური სცენარი განმეორდება უკრაინაშიც. ობამას მიერ სირიაში ქიმიური იარაღის შესაძლო გამოყენება, ამერიკამ შეაფასა როგორც ,,წითელი ხაზი'', რომლის

გადაკვეთის შემთხვევაში აშშ საპასუხო რეაქციას განახორციელებდა. აღნიშნული გაფრთხილებიდან 4 თვეში ასადის რეჟიმმა მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღი ამოიყენა, რასაც ამერიკის საპასუხო რეაქცია არ მოჰყოლია. ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში ერთ-ერთი ფუნდამენტური მომენტი, როდესაც გაჩნდა შეხედულება, რომ აშშ-ის მიერ დასახული ბარიერი დაუსჯელად შეიძლება გადაილახოს (Thiessen, 2014).

სირიის კრიზისი შემდეგ, ობამას მირ პუტინის გაფრთხილება, რომ შეეწყვიტა უკრაინაში მოქმედება, არარეალურად ჟღერდა. პუტინი მიიჩნევდა, რომ რუსეთ-უკრაინის ომს არ მოჰყვებოდა აშშ-ის მხრიდან მკაცრი პოლიტიკა. ამის საფუძველს მას სირიის კრიზისის შემთხვევა აძლევდა და დაუსჯელობის სინდრომმა გაუხსნა ხელ-ფეხი კიდევ უფრო აგრესიული საგარეო პოლიტიკის გასატარებლად. ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მხრიდან რუსეთის მიმართ დათმობითმა პოლიტიკამ ისტორიული გაკვეთილი ნათელი გახადა: სისუსტე პროვოკაციულ ქმედებად ითვლება. სიმბოლური ჟესტებითა და მკაცრი განცხადებებით, ვერ აიძულებდა აშშ რუსეთს, შეეწყვიტა აგრესიული ქმედებები უკრაინაში (Thiessen, 2014).

6. ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის მარცხის თეორიულ ჭრილში განხილვა

სამაგისტრო ნაშრომის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია ნატალი ტოჩის ნორმატიული საგარეო პოლიტიკის თეორია. კვლევისათვის იგი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ შეისწავლის საერთაშორისო სისტემის მოთამაშეების მირ საგარეო პოლიტიკის განსაზღვრის და მიღწეული შედეგების თავისებურებებს. თეორიის ლოგიკით, საგარეო პოლიტიკის განმახორციელებელი აქტორი უნდა შეფასდეს არა მხოლოდ თავისი დეკლარირებული მიზნებით, არამედ ამ მიზნების განხორციელების გზებისა და მიღებული შედეგების გათვალისწინებით (Tocci et al, 2008: 4) როდესაც ,,გადატვირთვის'' პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ამერიკის სურვილის მიუხედავად, რუსეთთან თანამშრომლობის გაღრმავების პროცესი, წარუმატებლად დასრულდა.

აღნიშნულ ფაქტს, ნორმატიული საგარეო პოლიტიკის თეორია შემდეგნაირად ხსნის: იმისათვის, რომ საგარეო პოლიტიკა ჩაითვალოს ნორმატიულად, ორი შესაძლო შემთხვევა არსებობს. პირველი, საერთაშორისო სისტემის აქტორი უნდა ცდილობდეს არა მარტო ნორმატიული მიზნების მიღწევას ნორმატიული საშუალებებს გამოყენებით, არამედ საბოლოო შედეგიც ნორმატიული უნდა იყოს. ასეთ პოლიტიკას ,,გათვალისწინებული'' შედეგის მქონე ეწოდება. ამის საპირისპიროთ, საეთაშორისო აქტორმა შეიძლება იმოქმედოს ნორმატიული მიზნებისა და საშუალებების გამოყენებით, მაგრამ ვერ მიაღწიოს ნორმატიულ საბოლოო შედეგს. ამ შემთხვევას, ავტორი განიხილავს, როგორც ,,გაუთვალისწინებელ'' საბოლოო შედეგს (Tocci et al, 2008: 15).

შედეგად, ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მიერ ახალი საგარეო პოლიტიკის ფორმირება - ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის დაწყება რუსეთთან, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის ფედერაციასთან არსებული რთული ვითარების განმუხტვას, ურთიერთობების ნორმალიზებას და თანამშრომლობის გაღრმავებას ორივე ქვეყნისათვის მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე, იყო აშშ-ის მოქმედი ადმინისტრაციის მხრიდან ნორმატიული საგარეო პოლიტიკური მიზანი. აშშ-ის

მმართველ წრეებში შეიქმნა შეხედულება, რომ რუსეთი საერთაშორისო სისტემის სამართლიანი მოთამაშე შეიძლება გამხდარიყო. შესაბამისად, ბარაკ ობამას ადმინისტრაცია ფიქრობდა, რომ ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესება არა მხოლოდ ამერიკის, არამედ რუსეთის ინტერესებშიც შედიოდა და საერთო ძალისხმევით, მათ შორის დაძაბული კავშირი პოზიტიურად შეიცვლებოდა.

ნორმატიულად უნდა ჩაითვალოს, ასევე, აშშ-ის მიზნის მიღწევის საშუალებები, რადგან იგი რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებისას აქცენტს თანამშრომლობაზე აკეთებდა და არა ძალისმიერ პოლიტიკაზე. ამის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ,,სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება'' რუსეთთან, რომელიც მალევე იქცა ბარაკ ობამას ადმინისტრაციის უმთავრეს საგარეო პოლიტიკურ მიღწევად. მიიჩნეოდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა ახალი, თანამშრომლობითი ეტაპი უნდა დაწყებულიყო.

გარდა ამისა, მიზნის მიღწევის ნორმატიული საშუალება იყო, აგრეთვე, აშშ-ის მხრიდან ხელშეწყობა რუსეთს, გამხდარიყო იგი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი. მხარეებმა ამ მიზანს მიაღწიეს კიდეც და 2012 წლის 12 აგვისტოს, 19 წლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, რუსეთი შეუერთდა ორგანიზაციას.

თუმცა, როგორც სირიის კრიზისისა და რუსეთ-უკრაინის ომის მაგალითებმა გვაჩვენა, ამერიკის მხრიდან დათმობითი პოლიტიკა რუსეთმა კიდევ უფრო აგრესიული საგარეო პოლიტიკის განხორციელების ხელშემწყობ ფაქტორად მიიღო. სირიის შემთხვევაში, აშშ-ის პრეზიდენტის მიერ დასახული ,,წითელი ხაზის'' დაუსჯელად გადაკვეთამ სირია და მისი მოკავშირე რუსეთი წაახალისა კიდევ უფრო არაჰუმანური ქცევებისკენ და ქვეყანა ჰუმანიტარული კატასტროფის ზღვართან მიიყვანეს. რუსეთ-უკრაინის ომი კი სწორედ სირიისგან მიღებული გაკვეთილის გაგრძელებაა, როდესაც რუსეთი ამერიკის დათმობითმა პოლიტიკამ კიდევ უფრო შორს წაიყვანა და ყირიმის ანექსია მოახდინა.

შედეგად, მიუხედავად ნორმატიული მიზნისა და ამ მიზნის მიღწევის ნორმატიული საშუალებებისა, აშშ-ის თავდაპირველი შეხედულება, რომ ,,გადატვირთვის'' პოლიტიკით რუსეთთან შესაძლებელი გახდებოდა თანამშრომლობის გაძლიერება, წარუმატებლად დასრულდა. აღნიშნული თეორია კარგად ხსნის საკვლევ მოვლენას:

ზოგჯერ ნორმატიულ ქმედებებს და ამ ქმედებების განხორციელების ნორმატიულ საშუალებებს ქვეყანა მიჰყავს არანორმატიულ საგარეო პოლიტიკამდე, რასაც ,,გაუთვალისწინებელი'' საბოლოო შედეგი ეწოდება.

ამერიკის შეერთებული შტატებს შემთხვევაში, მას ჰქონდა ნორმატიული მიზანი - გაეღრმავებინა რუსეთთან თანამშრომლობა, რასაც ნორმატიული, არა ძალისმიერი მეთოდებით ახორციელებდა, მაგრამ საბოლოო შედეგს ვერ მიაღწია და ,,გადატვირთვის'' პოლიტიკა წარუმატებლად დასრულდა. ამ კონტექსტში, თეორიის ლოგიკით, ,,გაუთვალისწინებელი'' საბოლოო შედეგის მიღების დროს, დამატებითი ფაქტორები, მაგალითად, საერთაშორისო სისტემის სხვა აქტორებთან ურთიერთქმედება, გავლენას ახსნეს მიღებულ შედეგზე. რუსეთმა ,,გადატვირთვის'' პოლიტიკა აღიქვა, როგორც აშშ-ის მხრიდან ცალმხრივი დათმობების სერიად და დაუსჯელობის სინდრომმა კიდევ უფრო აგრესიულ მოთამაშედ აქცია იგი, რამაც გამოიწვია ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის წარუმატებლობა.

7. დასკვნა

ამრიგად, სამაგისტრო ნაშრომში განვიხილე ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობების ფაზები ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს და შევისწავლე თუ რამ განაპირობა ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის წარუმატებლობა. კვლევამ დაადასტურა ჰიპოთეზა, რომ ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის პირობებში, ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მხრიდან გადაჭარბებულმა დათმობებმა რუსეთთან, კერძოდ, სირიის კრიზისისა და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დროს, არათუ კონსტრუქციული გახადა რუსეთის ქმედებები, არამედ წაახალისა მისი კიდევ უფრო აგრესიული ქცევები, რამაც გამოიწვია ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის წარუმატებლობა.

2009 წელს, ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე თვეებში, ბარაკ ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარი მიმართულება იყო რუსეთის ფედერაციასთან არსებული რთული ვითარების განმუხტვა, ურთიერთობების ნორმალიზება და თანამშრომლობის გაღრმავებას მთელ მრავალ აქტუალურ საკითხებზე. ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის თავდაპირველ პროგრესად მოიაზრება ,,სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება", რომლის ფარგლებშიც ამერიკას და რუსეთს ორჯერ უნდა შეემცირებინათ სტრატეგიული იარაღის გადამტანები და მძიმე ბომბდამშენები. გარდა ამისა, ხელშეკრულებას ნიშანი უნდა მიეცა სხვა ბირთვული სახელმწიფოებისათვის, რომ ამერიკა მზადაა, ბირთვული იარაღის შემცირებისათვის.

''სტრატეგიული შეიარაღების შემცირებს შესახებ ხელშეკრულებასთან'' ერთად ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის თავდაპირველ მნიშვნელოვან პროგრესად განიხილება შეთანხმება ავღანეთის საკითხთან დაკავშირებით. რუსეთი იღებდა ვალდებულებას, გაეხსნა საჰაერო სივრცე ავღანეთისაკენ ტვირთვის გადამზიდავი ამერიკული თვითმფრინავებისათვის, რაც ამერიკის ეროვნული ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო.

ამის პარალელურად, კვლევამ აჩვენა, რომ საბოლოოდ ,,გადატვირთვის'' პოლიტიკამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია და რუსეთი არ ამბობდა უარს ძალისმიერ და აგრესიულ ქმედებებზე საერთაშორისო არენაზე. ნაშრომში მიმოვიხილე სირიის კრიზისი და

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი, როგორც რუსეთის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების დათმობითი პოლიტიკის მაგალითები, რამაც გამოიწვია რუსეთის აგრესიული ქმედებების კიდევ უფრო გაძლიერება. სირიის კრიზისის დროს, რუსეთი ღიად უჭერდა მხარს ბაშარ ალ-ასად. გარე აქტიორებიდან რუსეთი ყველაზე აქტიურად იყო ჩართული სირიაში მიმდინარე პროცესებში - სამხედრო მზაობით, პოლიტიკურად და ფინანსურად. მიუხედავად იმისა, რომ ობამას ადმინისტრაციამ გაავლო ,,წითელი ხაზი'' ქიმიური იარაღის გამოყენებაზე, მისი დარღვევის შემდეგ აშშ-მ არაფერი მოიმოქმედა და რუსეთის ფედერაციამ დაინახა, რომ ამერიკის პრეზიდენტის მიერ გავლებული ,,წითელი ხაზის'' გადაკვეთა დაუსჯელადაც შესაძლებელი გახდა. მას შემდეგ, რაც ბარაკ ობამას ადმინისტრაცია ჩაურევლობის პოლიტიკით, ფაქტობრივად, გაერიდა სირიის კრიზისს. იქ არსებული უსაფრთხოების ვაკუუმი სწრაფად შეავსო რუსეთმა და დაუსჯელობით წახალისებულმა კიდევ უფრო გაზარდა ბაშარ ალ-ასადის მიმართ მხარდაჭერა სამხედრო და დიპლომატიური გზებით. ამავე პერიოდში, რუსეთმა გააძლიერა სირიისათვის იარაღის მიყიდვა, ხოლო დიპლომატიურ ფრონტზე ლობირებდა ისე, რომ თითქოს ამბოხებულები იყენებდნენ ქიმიურ იარაღს. გარდა ამისა, რუსეთის პოზიცია იყო, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს ეგიდის გარეშე სირიაში სამხედრო ჩარევა იქნებოდა ღია აგრესია, რაც, რა თქმა უნდა, ემსახურებოდა ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის დაცვას. ეს ხდებოდა იმ პირობებში, როდესაც ბაშარ ალ-ასადმა და მისმა მოკავშირე რუსეთმა სირია ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე მიიყვანეს.

სირიის კრიზისას დანახულმა აშშ-ის დათმობითმა პოლიტიკამ და დაუსჯელობის სინდრომმა რუსეთი კიდევ უფრო აგრესიული გახადა და მისი შემდეგი სამიზნე უკრაინა გახდა, სადაც ოფიციალურად მოახდინა ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსია და არეულობის ხელშეწყობა აღმოსავლეთ უკრაინაში, რასაც კვლავ არ მოჰყვა ამერიკის მხრიდან სათანადო რეაქცია. პუტინი მიიჩნევდა, რომ რუსეთ-უკრაინის ომზე აშშ-ის რეაქცია კვლავ დათმობითი იქნებოდა. ფაქტი იყო, რომ მხოლოდ მკაცრი რიტორიკით რუსეთი უარს არ იტყოდა აგრესიული საგარეო მიზნების განხორციელებაზე. ამის მაგალითი აშშ-ს სირიის კრიზისისგან უკვე ჰქონდა მიღებული. მართლაც, სანქციები, რომელიც აშშ-მ რუსეთს დაუწესა, არ აღმოჩნდა იმდენად ძლიერი, რომ რუსეთის

ეკონომიკაზე გავლენის მოხდენის გარდა, მისი აგრესიული საგარეო პოლიტიკური ქცევებიც შეეცვალა. შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მხრიდან რუსეთთან დათმობებმა იგი კიდევ უფრო აგრესიული გახადა, რადგან ფიქრობდა, რომ ამერიკის, როგორც გლობალური სახელმწიფოს იმიჯი შეირყა და პასუხს არ მოსთხოვდა არაკონსტრუქციულ ქცევებზე. აშშ-ის მიერ დასახული ,,წითელი ხაზის'' უპასუხოდ გადაკვეთა და რუსეთ-უკრაინის ომის დროს რუსეთის შესაჩერებლად არასათანადო საშუალებების გამოყენება ნიშანი იყო რუსეთისთვის, კიდევ უფრო აგრესიული საგარეო პოლიტიკის გატარებისას საერთაშორისო არენაზე მას ხელს არავინ შეუშლიდა.

ნაშრომის თეორიული ჩარჩოა ნატალი ტოჩის ნორმატიული საგარეო პოლიტიკის თეორია, რომლის მიხედვითაც, ,,გადატვირთვის'' პოლიტიკის წარუმატებლობა ,,გაუთვალისწინებელი'' საბოლოო შედეგის მაგალითს განეკუთვნება. ზოგჯერ ნორმატიულ ქმედებებს და ამ ქმედებების განხორციელების ნორმატიულ საშუალებებს ქვეყანა მიჰყავს არანორმატიულ საგარეო პოლიტიკამდე. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკური მიზანი - გაეღრმავებინა აშშ-რუსეთის ურთიერთობები და ამ მიზნის მიღწევის საშუალებები ნორმატიული იყო, საბოლოო შედეგი - ,,გადატვირთვის'' პოლიტიკა წარუმატებლად დასრულდა.

კვლევამ აჩვენა, რომ ,,გადატვირთვის'' პოლიტიკა ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მხრიდან ცალმხრივი დათმობების რაუნდად გადაიქცა, რამაც რუსეთის ქცევები არათუ კონსტრუქციული გახადა, არამედ დაუსჯელობის სინდრომმა იგი საერთაშორისო სისტემის კიდევ უფრო აგრესიულ მოთამაშედ აქცია. სირიის კრიზისმა და, ბოლოს, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა, აშშ-რუსეთს შორის ურთიერთობების გადატვირთვას წერტილი დაუსვა. რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, მათ შორის ურთიერთობები, ფაქტობრივად, ცივი ომის ნიშნულს დაუბრუნდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბატიაშვილი, ზ. (2017). სირიის სამოქალაქო ომი რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში. *GFSIS.* https://www.gfsis.org/ge/blog/view/723?fbclid=IwAR1yIRk0m16eJRWSyVMdsk8kTyHzi2al2gTifE974THq_5_PtRFWW8n_OZg (ბოლო ნახვა: 01.07.2019).
2. გაჩეჩილაძე, რ. (2011). *ახლო აღმოსავლეთი - სივრცე, ხალხი და პოლიტიკა.* თბილისი: ბაკურ სულაკაურს გამომცემლობა.
3. ზურაბიშვილი, თ. (2006). *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
4. სოციალური მეცნიერებების ცენტრი. (2004). *სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ლექსიკონი - ცნობარი.* თბილისი: ლოგოს პრესი.
5. ჩუბინიძე, ე. (2002). ომის საერთაშორისო სამართლებრივი ხასიათი. *ალმანახი N15 - საერთაშორისო სამართალი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.*
6. ჯენტლესონ, ბ. (2015). *ამერიკის საგარეო პოლიტიკა - არჩევანის დინამიკა 21-ე საუკუნეში.* (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი). New York: W.W. Norton Company
7. Ahmad, M. (2016). Barack Obama's presidency will be defined by his failure to face down Assad. *The Guardian.* Retrieved from https://www.theguardian.com/world/2016/dec/17/obama-presidency-defined-failure-face-down-assad-syria ბოლო ნახვა (03.07.2019).
8. Aleksashenko, S. (2016). *Evaluating Western Sanctions on Russia.* Atlantic Council. Retrieved from https://www.atlanticcouncil.org/images/publications/Evaluating_Western_Sanctions_on_Russia_web_1206.pdf (ბოლო ნახვა: 15.06.2019)
9. ALLISON, R. (2013). *Russia and Syria*: Explaining alignment with a regime in crisis. *International Affairs (Royal Institute of International Affairs 1944-), 89*(4), 795-

823. Retrieved from https://www.jstor.org/stable/23479395?seq=1#page_scan_tab_contents

10. Allison, G., Blackwill, D., Simes, D., Saunders, P. (2011). *Russia and U.S. National Interests. Why Should Americans Care?* Cambridge MA: Belfer Center for Science and International Affairs, Harvard University. Retrieved from https://www.belfercenter.org/sites/default/files/legacy/files/Russia-and-US-NI_final-web.pdf
11. Aristova, Marina. (2013). US-Russia Relations on Reset: Results and Perspectives. http://www.rieas.gr/researchareas/2014-07-30-08-58-27/russian-studies/2048-us-russia-relations-of-reset-results-and-perspectives%20(24.05.2019). (ბოლო ნახვა: 23.06.2019)
12. Arms Control Association. (2019). *Timeline of Syrian Chemical Weapons Activity, 2012-2019.* Retrieved from https://www.armscontrol.org/factsheets/Timeline-of-Syrian-Chemical-Weapons-Activity (ბოლო ნახვა: 20.06.2019)
13. BBC. (2009). Button gaffe embarrasses Clinton. Retrieved from http://news.bbc.co.uk/2/hi/7930047.stm (ბოლო ნახვა: 25.06.2019)
14. Benammar, E. (2013). Syria conflict: why is Russia's president Vladimer Putin supporting Bashar al-Assad's regime? *ABC News.* Retrieved from https://www.abc.net.au/news/2013-09-06/why-is-russia-supporting-assad3f/4937028 (ბოლო ნახვა: 05.07.2019).
15. Buckley, C. (2012). Learning from Libya, Acting in Syria. *Journal of Strategic Security, 5(2), 81-104.* Retrieved from https://scholarcommons.usf.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1170&context=jss
16. Calamur, K. (2017). Was Obama too soft to Russia? *The Atlantic.* Retrieved from https://www.theatlantic.com/news/archive/2017/02/trump-obama-russia-crimea/516777/ (ბოლო ნახვა: 26.06.2019)
17. Cohen, S. (2011). Obama's Russia 'Reset': Another Lost Opportunity? *The Nation.* https://www.thenation.com/article/obamas-russia-reset-another-lost-opportunity/ (ბოლო ნახვა: 25.06.2019)

18. CNN Library. (2019). Syrian Civil War Fast Facts. *CNN.* Retrieved from https://edition.cnn.com/2013/08/27/world/meast/syria-civil-war-fast-facts/ ბოლო ნახვა (28.06.2019)
19. Collier, D. (2011). Understanding Process Tracing. *Political Science and Politics.* No 4: 823-30.
20. Council for Foreign Relations. (2017). U.S. Foreign Policy Powers: Congress and the President. Retrieved from https://www.cfr.org/backgrounder/us-foreign-policy-powers-congress-and-president ბოლო ნახვა (01.07.2019)
21. Election Results 2008. (2008, 09 December). The New York Times. https://www.nytimes.com/elections/2008/results/president/votes.html (ბოლო ნახვა: 03.07.2019)
22. Gardiner, N. (2009). Biden's Munich's Speech: Obama Administration Foreign Policy Projects Weakness and Confusion. *Heritage.* Retrieved from https://www.heritage.org/europe/report/bidens-munich-speech-obama-administration-foreign-policy-projects-weakness-and (ბოლო ნახვა: 05.07.2019)
23. Gedmin, J. (2014). BEYOND CRIMEA: What Vladimir Putin Really Wants? *World Affairs, 177*(2), 8-16. Retrieved from https://www.jstor.org/stable/43556196?seq=1#page_scan_tab_contents
24. Goldberg, J. (2016). The Obama Doctrine. *The Atlantic.* Retrieved from https://www.theatlantic.com/magazine/archive/2016/04/the-obama-doctrine/471525/ (ბოლო ნახვა: 08.07.2019)
25. Goldberg, J. (2017). The Obama Doctrine, R.I.P. *The Atlantic.* Retrieved from https://www.theatlantic.com/international/archive/2017/04/the-obama-doctrine-rip/522276/ (ბოლო ნახვა: 08.07.2019)
26. Grove, T. (2013). Insight: Syria pays for Russian weapons to boost ties with Russia. *Reuters.* Retrieved from https://www.reuters.com/article/us-syria-crisis-russia-arms-insight/insight-syria-pays-for-russian-weapons-to-boost-ties-with-moscow-idUSBRE97S0WW20130829 (ბოლო ნახვა: 09.07.2019)

27. Grove, T & Solomon, E. (2013). Russia Boosts arms sales to Syria despite world pressure. *Spiegel.* Retrieved from https://www.reuters.com/article/us-syria-russia-arms/russia-boosts-arms-sales-to-syria-despite-world-pressure-idUSTRE81K13420120221 (ბოლო ნახვა: 09.07.2019)
28. Hagan, J., Everts, P., Fukui, H., & Stempel, J. (2001). Foreign Policy by Coalition: Deadlock, Compromise, and Anarchy. *International Studies Review, 3*(2), 169-216. Retrieved from https://www.jstor.org/stable/3186568?seq=1#page_scan_tab_contents
29. Herbert, Anne L. Cooperation in International Relations: A Comparison of Keohane, Haas and Franck. *Berkeley Journal of International Law*. Vol. 14: 222-238 (1996).
30. Inter-university Consortium for Political and Social Research (ICPSR). (2008). Campaign Issues and Candidates Positions. Retrieved from https://www.icpsr.umich.edu/icpsrweb/instructors/setups2008/campaign-issues.jsp
31. Jervis, R. (1976). *Perception and Misperception in International Politics.* Princeton: Princeton University Press.
32. Kainikara, S. (2018). *In the Bear's Shadow – Russian Intervention in Syria.* Australia: Air Power Development Centre.
33. Kaplan, R. (2013). Obama's "I'm not George W. Bush" Foreign Policy. https://www.realclearworld.com/articles/2013/08/15/obamas_not_george_w_bush_foreign_policy.html (ბოლო ნახვა: 10.06.2019)
34. Katz, M. (2014). Can Russian-US Relations Improve? *Strategic Studies Quarterly, 8*(2), 129-141. Retrieved from https://www.jstor.org/stable/26270807?seq=1#metadata_info_tab_contents
35. Lund, A. (2017). Red Line Redux: How Putin Tore up Obama's 2013 Syria Deal. *The Century Foundation.* Retrieved from https://tcf.org/content/report/red-line-redux-putin-tore-obamas-2013-syria-deal/?session=1 (ბოლო ნახვა: 03.07.2019).
36. Mangu, A. (2013). US Foreign Policy under President Barack Obama and the Promotion of Multilateralism and the Rule of Law. *Africa Development / Afrique Et Développement, 38*(1-2), 171-190. Retrieved from https://www.ajol.info/index.php/ad/article/view/99541/88827

37. Mankoff, J. (2009). The Tricky U.S. – Russia 'Reset' Button. *Council on Foreign Relations.* Retrieved from https://www.cfr.org/expert-brief/tricky-us-russia-reset-button (ბოლო ნახვა: 17.06.2019)
38. Mankoff, J. (2011). *Russian Foreign Policy: The Return on Great Power Politics.* United States: Rowman & Littlefield.
39. McCormick, M. James. (2011). The Obama Presidency: A Foreign Policy of Change? *Iowa State University Political Science Publications.* Retrieved from https://lib.dr.iastate.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.com/&httpsredir=1&article=1018&context=pols_pubs
40. McFaul. M. (2015). The Myth of Putin's Strategic Genius. *The New York Times.* Retrieved from https://www.nytimes.com/2015/10/23/opinion/the-myth-of-putins-strategic-genius.html (ბოლო ნახვა: 10.07.2019)
41. National Security Strategy of the United States of America. (2010). Retrieved from http://nssarchive.us/NSSR/2010.pdf
42. Natsios, A. (2013). Why Obama's Syria Diplomacy is doomed to fail. *U.S. News.* Retrieved from https://www.usnews.com/opinion/blogs/world-report/2013/09/11/without-military-force-obamas-syria-diplomacy-is-doomed-to-fail (ბოლო ნახვა: 01.07.2019)
43. Nexon, D. (2014). The failure of the 'reset': Obama's great mistake? Or Putin's? *Washington post.* Retrieved from https://www.washingtonpost.com/news/monkey-cage/wp/2014/03/04/the-failure-of-the-reset-obamas-great-mistake-or-putinss/?utm_term=.e6f8721b6765 (ბოლო ნახვა: 01.07.2019)
44. Niedowski, E. (2010). McCain: Support for human rights 'mostly missing' from U.S. foreign policy. *The hill.* Retrieved from https://thehill.com/homenews/news/98399-mccain-support-for-human-rights-qmostly-missingq-in-us-foreign-policy (ბოლო ნახვა: 16.06.2019)
45. Obama Whitehouse. Vice President Biden in Central Europe *2009.* Retrieved from https://obamawhitehouse.archives.gov/blog/Vice-President-Biden-in-Central-Europe (ბოლო ნახვა: 25.06.2019)

46. Pearson, R. (2007). Obama: I' m running for president. *Web Archive.* Retrieved from https://web.archive.org/web/20070818230600/http://www.chicagotribune.com/news/politics/chi-070210obama-pearson1-story,0,3768114.story (ბოლო ნახვა: 09.06.2019)
47. Pifer, S. (2014). US-Russia Relations in the Obama Era: from Reset to Refreeze? *OSCE Yearbook, 111-123.*
48. Pitzke, M. (2013). Gas Attack in Syria 'Indisputable'. *Spiegel.* Retrieved from https://www.spiegel.de/international/world/un-report-confirms-use-of-chemical-weapons-in-syria-a-922746.html (ბოლო ნახვა: 06.07.2019)
49. Ramicone, A., Rocca, C., Gisser, S., Metzger, J., Smith, W. (2014). The Ukrainian Crisis – A Disputed Past and Present. *Policy Brief.* Retrieved from https://iop.harvard.edu/sites/default/files_new/research-policy-papers/NatsecUkraine2014.pdf?fbclid=IwAR0DD_lRQhWnPlT_Nis5V7ECgaQBgjxwnHR_U_17TkYxiH5Z55V1Z60iw3Q (ბოლო ნახვა: 04.07.2019)
50. Rogin, J. (2014). Senators: Kerry Admits Obama's Foreign Policy is failing. *The Daily Beast.* Retrieved from https://www.thedailybeast.com/senators-kerry-admits-obamas-syria-policy-is-failing?ref=scroll (ბოლო ნახვა: 09.07.2019)
51. Rohde, D. (2012). The Obama Doctrine. *Foreign Policy.* Retrieved from https://foreignpolicy.com/2012/02/27/the-obama-doctrine/ (ბოლო ნახვა: 01.07.2019)
52. Russian tanks and troops crossing into Ukraine, says NATO commander. (2014). *The Guardian.* Retrieved from https://www.theguardian.com/world/2014/nov/12/russian-tanks-troops-crossing-into-ukraine-nato-supreme-commander (ბოლო ნახვა: 05.07.2019)
53. Shumiln, A. (2014). *The Syrian Crisis and Russia's approach to the Gulf.* Gulf Research Center. Retrieved from https://www.files.ethz.ch/isn/180935/Gulf_Paper_-_Syrian_Crisis_15-05-14_5756.pdf
54. Shuster, Simon. (2014). A failed Russia 'Reset' Haunts Obama in Europe. *The Time.* http://time.com/2819889/obama-russia-europe-poland/ (ბოლო ნახვა: 15.06.2019)
55. Spetalnick, M. (2011). Top Republican assails Obama ,,Reset'' with Russia. *Reuters.* Retrieved from https://www.reuters.com/article/us-usa-russia-boehner-

idUSTRE79O62R20111025?fbclid=IwAR1EJX2OceOhThHWtQl9cKa2_t8kNW-oBl8tEkRuMAG6ZKZXCaX1Zp5iVXE (ბოლო ნახვა: 28.06.2019)

56. Strobel, W., Holland, S. (2013). Obama won't rush to act against Syria over chemical arms. *Reuters.* Retrieved from https://www.reuters.com/article/us-syria-crisis-usa-obama/obama-wont-rush-to-act-against-syria-over-chemical-arms-idUSBRE93T0QX20130430 (ბოლო ნახვა: 06.07.2019)
57. Suslov. D. (2013). *The US-Russia Relations after the „Reset": Pragmatism of a new Confrontation?* (Working Papers, Series International Relations WP BRP 04/IR/2013). Retrieved from National Research University Higher School of Economics: https://wp.hse.ru/data/2014/02/20/1330732318/04IR2013.pdf
58. The Guardian. (2010). Kyrgyzstan: A Russian Revolution*?* Retrieved fro https://www.theguardian.com/commentisfree/2010/apr/08/kyrgyzstan-vladimir-putin-barack-obama (ბოლო ნახვა: 02.07.2019)
59. The Guardian. (2008). Sarah Palin seen as a Unifying for Republicans. Retrieved from https://www.theguardian.com/world/2008/sep/04/uselections2008.sarahpalin3 (ბოლო ნახვა: 11.06.2019)
60. Thiessen, M. (2014). Mark Thiessen: Obama's weakness emboldens Putin. *Washington Post.* Retrieved from https://www.washingtonpost.com/opinions/marc-thiessen-obamas-weakness-emboldens-putin/2014/03/03/28def926-a2e2-11e3-84d4-e59b1709222c_story.html?utm_term=.03909a37725f (ბოლო ნახვა: 04.07.2019)
61. Titus, A. (2018). Obama Owns the Syria Crisis. *National Review.* Retrieved from https://www.nationalreview.com/2018/03/syria-crisis-obama-foreign-policy-disaster/ (ბოლო ნახვა:19.06.2019)
62. Tocci, N. (2008). *Who is a Normative Foreign Policy Actor? The European Union and its Global Partners.* Belgium, Brussels: Centre for European Policy Studies.
63. Tolksdorf, D. (2017). U.S. Sanctions and Law and Western Coordination on Russia Policy. *Wilson Center.* Retrieved from https://www.wilsoncenter.org/sites/default/files/kennan_cable_29_-_tolksdorf.pdf

64. United Nations Human Rights Council. (2011). *Independent International Commission of Inquiry on the Syrian Arab Republic.* Retrieved from https://www.ohchr.org/EN/HRBodies/HRC/IICISyria/Pages/AboutCoI.aspx?fbclid=IwAR2rEKrfHvmHsUVur9aCFkrAUWQ7rIaACauW_d0b_8p5fSnk8Q1vWjWyHiw
65. USNEWS.com (2014). Edward Snowden's Asylum in Russia Expended. Retrieved from https://www.usnews.com/news/articles/2014/01/24/edward-snowdens-asylum-in-russia-extended (ბოლო ნახვა: 19.06.2019)
66. Walker, M. (2008). The Year of the Insurgents: The 2008 US Presidential Campaign. *International Affairs (Royal Institute of International Affairs 1944-), 84*(6), 1095-1107. Retrieved https://www.jstor.org/stable/25144983?seq=1#page_scan_tab_contents
67. Warren, A. (2014). *The Obama Administration's Nuclear Weapon Strategy.* New York: Routledge.
68. Woehrel. S. (2014). Ukraine: Current Issues and U.S. Policy. *Congressional Research Service.* Retrieved from https://www.everycrsreport.com/files/20140324_RL33460_6e1a9ce87fec19677515812c4af16d3bc8529723.pdf

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Eka Pkhovelishvili

U.S. – Russia Relations during the Barack Obama Administration: The Failure of the ‘’Reset” Policy

Diplomacy and International Politics

Thesis is submitted to obtain Master’s Academic Degree in Diplomacy and International Politics

Tornike Turmanidze

Professor

Tbilisi

2019